ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№84 (1594)

23-26 აგვისტო, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?

5



## ხომ არსებობს ზნეობრივი კანონები, ნუთუ პარლამენტარებს არ მოეთხოვებათ ზნეობა?

4

## ნეტავ როგორ აჭრიან ყურებზე ხახვს?

3

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

### შევარდნაძე-არძინბას შეხვედრის გამო

შევარდნაძის მიერ თბილისში 1997 წლის 14-15 აგვისტოს არძინბას მიღებამ უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიღების პროტოკოლით, როცა მოლაპარაკების მაგიდასთან საქართველოს დროშის პირდაპირ კაცისმკვლელი სეპარატისტის დროშა ფრიალებდა, და შევარდნაძის მიერ არძინბასთან ერთობლივი და საქართველოსთვის კაპიტულანტური განცხადების ხელმოწერამ, რაც თავისი დაურიდებლად ანტიქართული მიმართულებით და თავისი აბსურდულობით აღემატება შევარდნაძის მიერ დღემდე გადადგმულ ყველა ანტისახელმწიფოებრივ აბსურდულ ნაბიჯს, საფუძველი შექმნა იმისთვის, რომ ახლებურ შუქში იქნას დანახული შევარდნაძის საქმიანობა საქართველოში 1992 წლის 6 მარტის შემდეგ. იმ გარემოებებიდან, რომ შევარდნაძემ

– დღემდე არ მოითხოვა საქართველოს პროკურატურისაგან არძინბას დაპატიმრებაზე სანქციის გაცემა, როგორც ქართველი მოსახლეობის მასობრივი ხოცვის და გენოციდის გზით ეთნიკური წმენდის ორგანიზატორზე, რითაც გამოამჟღავნა მზაობა, არ ჩათვალოს ეს ქმედება დანაშაულად ან არ ცნოს საქართველოს ცენტრალური კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილად, განიხილონ ეს დანაშაული და დამნაშავენი დასაჯონ.

– აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საქმის ყოველგვარი წინწაწევის გარეშე და რუსეთისაგან ან აფსუა სეპარატისტებისაგან ყოველგვარი სამაგიერო დათმობის გარეშე შესაძლოდ ცნო არძინბასთან შეხვედრა და მასთან ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა როგორც „აფხაზეთის“ (და არა „კონფლიქტის აფხაზური მხარის“) წარმომადგენელთან, რითაც დემონსტრაციული იგნორირება მოახდინა აფხაზეთის უზენაესი საბჭოსი და მთავრობისა, რომლებიც დროებით თბილისში იმყოფებიან.

– იმ პირობაზე ხელმოწერით, რომ არ იქნება გამოყენებული ძალა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად და დევნილთა დასაბრუნებლად, სასჯელის შიშისაგან გაათავისუფლა ის რუსი სამხედრო მოსამსახურეები, დაქირავებული „ბოევიკები“ და საქართველოს სხვა მტრები, რომლებიც აფხაზეთში ქართველთა მიტოვებულ სახლებში და მიწა-წყალზე ოჯახებით დასახლებას ფიქრობენ ან უკვე დასახლდნენ, რითაც ხელსაყრელი ფსიქოლოგიური პირობები შექმნა აფხაზეთის ეთნიკური წმენდის შედეგთა დემოგრაფიული დაგეირგვინებისათვის ანუ აფხაზეთის სრული დემოგრაფიული ათვისებისათვის ქართველთა გარეშე,

ყოველ მიუკერძოებელ დამკვირვებელს შეუძლია დასკვნის გამოტანა, რომლის თანახმადაც *ობიექტური საფუძველი აქვს დიდი ხნის არსებულ ეჭვს, რომ შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ყოფნის მთელი დროის მანძილზე მოქმედებს არა საქართველოს ინტერესებში, არამედ მხოლოდ უცხო ქვეყნის – რუსეთის ინტერესებში, როგორც მისი ფუნქციონერი.* სახელდობრ, ობიექტური საფუძველი ეძლევა აზრს, რომ:

1. შევარდნაძემ, როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, შეგნებულად დაუშვა აფხაზეთში ომის დაწყება და, როგორც მთავარსარდალმა, შეგნებულად შეუწყო ხელი მის წაგებას; რომ, კერძოდ, წინასწარგანზრახული ღალატი იყო ტყვარჩელის დატოვება მოწინააღმდეგის ხელში და საკუთარ ზურგში; ასევე, წინასწარგანზრახული ღალატი იყო სოხუმიდან მილიციის გამოყვანა და მილიციის ფუნქციით არმიის აღჭურვა, რის შედეგადაც მოხდა წინსვლის შეჩერება სოხუმში რამდენიმე დღით ომის დაწყების პირველ კვირას; შესაძლოა, წინასწარგანზრახული ღალატი იყო ფრონტის გაჩერება მდ.გუმისთაზე რამდენიმე თვით, რაც მადემორალიზებელ და გამხრწნელ გავლენას ახდენდა ჩვენს ნაწილებზე; ფართოდ გავრცელებულ აზრს, მათ შორის – გაგრის დაცვის მონაწილეთა დიდი უმრავლესობის აზრს, რომ გაგრის დაცემა მოხდა ღალატის შედეგად, ამაგრებს ის ფაქტი, რომ საპარლამენტო კომისიას, რომელსაც ევალებოდა 1992 წელს გაგრის დაცემის მიზეზთა გამოძიება, მუშაობის საშუალება არ მიეცა; უდავოდ წინასწარგანზრახული ღალატი იყო 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დადება სოხუმიდან მძიმე შეიარაღების გამოყვანის შესახებ, რამაც სოხუმის დაცემა გამოიწვია; ღალატი იყო სამეგრელოს რაიონების დარბევა „მხედრიონისა“ და გვარდიის მიერ ომის დაწყების წინ, რათა ზურგი მოერღვიათ მომავალი ფრონტისათვის; ღალატი იყო

2

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

## შევარდნაძე–არძინბას შეხვედრის გამო

პირველი გვერდიდან

სოხუმის ქართველი მოსახლეობის შეყვანა სოხუმში 1993 წლის აგვისტოში, როცა სოხუმზე შემოტევა მზადდებოდა, და ევაკუაციაზე უარის თქმა საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემდეგ, რამაც, ერთის მხრივ, სოხუმელი მებრძოლები ფსიქოლოგიურად შებორკა, მეორე მხრივ, მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მრავალათასიანი მსხვერპლი გამოიწვია; ასევე, წინასწარგანზრახული ღალატი იყო კოდორი-ენგურის ზონის არგამაგრება და მისი სათადარიგო ორგანიზების არჩატარება, რამაც მტერს ოჩამჩირისა და მთელი გალის რაიონის უბრძოლველად დაკავების საშუალება მისცა.

2. შევარდნაძის ხელისუფლებამ ოფიციალურად, ანუ ნოტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვის ფორმით, არ დააფიქსირა, რომ აფხაზეთში რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აწარმოებდა. ამით მან რუსეთის პრესტიჟი დაიცვა, მაგრამ საქართველოს ორგვარი ზიანი მიაყენა: *ჯერ ერთი,* მან არ გამოიყენა შესაძლებლობა პოლიტიკური გზით შეემცირებინა რუსეთის სამხედრო ზეწოლა ჩვენს ქვეყანაზე და ამით შეემსუბუქებინა ქართველი ჯარისკაცის ტვირთი. *მეორეც,* მან აფსუა სეპარატისტებს ამით ომში გამარჯვებულთა სტატუსი მიანიჭა ნაცვლად გარეშე ძალის ხელშემწყობი ანტისახელმწიფოებრივი ელემენტის სტატუსისა, რომელიც მათ სამართლიანად ეკუთვნით.

3. შევარდნაძემ და მისმა გუნდმა ენგურზე ჩააყენეს რუსეთის „სამშვიდობო" შეიარაღებული ძალები, რითაც ხელი შეუწყვეს მდ.ენგურის საზღვრად დაფიქსირების პროცესს.

4. გამოიყენა რა აფხაზეთში დამარცხება, როგორც საბაბი, და საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირე, როგორც ხალხის პოლიტიკური ნების დათრგუნვის საშუალება, შევარდნაძემ პარლამენტს კანონის დარღვევით ხმა მიაცემინა საქართველოს შესვლისთვის СНГ-ში, რითაც ხელყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგები იმ დროს, როცა მეზობელმა აზერბაიჯანმა მთლიანად გაიყვანა რუსეთის ჯარი თავისი ტერიტორიიდან, შევარდნაძემ რუსეთის შეიარაღებული ძალები, წინააღმდეგ კანონისა, საქართველოში დატოვა და მათ საქართველოს საზღვრის კონტროლი ჩააბარა, რითაც რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოში განუკითხავი ბატონობის და ნებისმიერ მომენტში დესტაბილიზაციის ორგანიზაციის საშუალება მისცა.

5. შევარდნაძემ წინასწარგანზრახულად დაუშვა საქართველოს საფინანსო სისტემის დანგრევა „დვალიშვილის ემისიური და საკრედიტო პოლიტიკის" შედეგად და ამით მოახდინა საქართველოს ეკონომიკური გაჩანაგება, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს დაქვემდებარებას რუსეთისადმი; ეკონომიკაში სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიების შეგნებული გაბატონებით მან მიაღწია ხალხის უკიდურეს გაღატაკებას, მასობრივი შიმშილობის ჩათვლით, და საქართველოს კატასტროფულად დიდი და მზარდი საგარეო ვალის შექმნას.

6. შევარდნაძე რუსეთის მითითებით შეგნებულად ამზადებს ნიადაგს *საქართველოს ტერიტორიის მომავალი შეკვეცისათვის შიდა ქართლში „ოსეთის" შექმნით,* რისთვისაც არც სამხედრო, არც იურიდიული და არც მორალური აუცილებლობა არ არსებობს;

7. რუსეთისვე მითითებით შევარდნაძე შეგნებულად ამზადებს ნიადაგს *საქართველოს სრული ფედერალიზაციისათვის,* რაც ნიშნავს საქართველოს არა მხოლოდ ტერიტორიის, არამედ ეროვნული ცნობიერების გახლეჩას ახლო მომავალში,

***საქართველოს სვლა ამავე გზით კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე გარდუვალად მოიტანს საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ განადგურებას, ერის ფიზიკურ გადაშენებას და სოციალურ ქაოსს.***

ამიტომ, სანამ საქართველოს გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (სგრპ) თავის მოვალეობად რაცხს საქართველოს საზოგადოებრიობის წინაშე განაცხადოს შემდეგი:

ა) სამწუხაროდ, საქართველოს განუყოფელი ხელისუფლება დღეს უცხო ქვეყნის მსახურის, რეალობასთან კავშირგაწყვეტილი და ფსიქოლოგიურად (მსოფლმხედველობრივად) წონასწორობადაკარგული პიროვნების ხელშია, რომელიც კანონისადმი პირდაპირი წინააღმდეგობით ატარებს რუსეთისვე მიერ შეკვეთილ კურსს და საქართველოში ახორციელებს ქვეყნის თანმიმდევრული ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის პოლიტიკას რუსეთისადმი მისი შემდგომი დაქვემდებარების მიზნით.

ბ) სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტი, რომლის უმრავლესობა დაკომპლექტებულია შევარდნაძის პოლიტიკური პარტიის, მოქალაქეთა კავშირის წევრებით, ვერ უწევს ან არ უწევს ქმედით წინააღმდეგობას შევარდნაძის ძირგამომთხრელ კურსს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ.

გ) თქმულიდან გამომდინარე, *საქართველოს საარსებო ინტერესია საქართველოს ხელისუფლების შეცვლა, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელია არსებული კურსის შეცვლა და საქართველოს სათავეში ერთგული, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ადამიანების მოსვლა.*

სგრპ-ის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნა ან საზოგადოებისათვის პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი უნდობლობის გამოხატვის შეთავაზება ისე, რომ ხელთ არ ჰქონდეს კონკრეტული *კონცეფცია* საქართველოსთვის საჭირო კურსისა ყველა მთავარ საკითხში, კონკრეტული სამოქმედო *პროგრამა* და კონკრეტული *გეგმა* იმ *პირადი შემადგენლობისა,* რომელმაც საქართველოს მართვის სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები უნდა დააკომპლექტოს დღევანდელი კორუმპირებული შემადგენლობის ნაცვლად. ამიტომ სგრპ *არ* მიჰმართავს ქართველ ხალხს წინადადებით პრეზიდენტისადმი ან პარლამენტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ მანამდე, სანამ არ წარუდგენს მას ალტერნატიული პოლიტიკის ზემოხსენებულ კონცეფციებსა და გეგმას. ასეთი კონცეფციები და გეგმა საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას *აქვს* – და, ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, *საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აქვს* და იგი უახლოეს ხანებში წარედგინება საზოგადოებას ნაწილ-ნაწილ, გაზ. „საქართველოში" პუბლიკაციის სახით.

სგრპ მოუწოდებს საქართველოს ყველა ეროვნულსა და დემოკრატიულ ძალებს, ყველა უნარიანსა და პატიოსან მოქალაქეს მათი ძალისხმევის გაერთიანებისაკენ ამ კონცეფციათა სრულყოფის, ამ ალტერნატიული პოლიტიკის დახვეწის და ამ პირადი შემადგენლობის შევსების მიმართულებით,

საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ან თუნდაც ამგვარი მოთხოვნის პრაქტიკული წამოყენება არ არის ისეთი საქმე, რომელშიც აჩქარება შეიძლებოდეს. მაგრამ არც დაგვიანება შეიძლება, ვინაიდან დღეს არსებული მმართველობის ყოველი საათი საქართველოსთვის მძიმე და ძალიან ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მოაქვს.

## სამახსოვრო ფოტო ლტოლვილებს

### ღიმილის ბიჭები




# „ეს რეგიონი არ უნდა გადაიქცეს კონკურენციის ადგილად"

„კავკასიაში შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლონ რუსეთმა, აშშ-მ და სხვა სახელმწიფოებმა. ამიტომ, აშშ რჩება თავისი განცხადებების ერთგული, რომ არ ღირს მსოფლიოს დაყოფა გავლენის სფეროებად", – თქვა პრესკონფერენციაზე აშშ-ის ელჩმა საქართველოში უილიამ კორტნიმ, რომელმაც დაასრულა თავისი კადენცია ჩვენს ქვეყანაში და დღეს ბრუნდება სამშობლოში. რუსეთის უშიშროების საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ არ არის სასურველი აშშ-ის გააქტიურება კავკასიაში. ამის თაობაზე კორტნიმ განაცხადა, რომ „ეს რეგიონი არ უნდა გადაიქცეს კონკურენციის ადგილად".

ამერიკის ელჩმა საქართველოში დადებითად შეაფასა ქართული და აფხაზური მხარეების პირდაპირი მოლაპარაკებები შუამავლის მონაწილეობის გარეშე და დასძინა, რომ მას სჯერა „საქართველოსა და რუსეთს შორის საერთო ინტერესების არსებობისა კონფლიქტის სწრაფად დარეგულირების საკითხში".

საქართველოდან გამგზავრების წინ კორტნიმ რამდენიმე სურვილი გამოთქვა.

„მინდა ვუთხრა მათ, ვინც საქართველო დატოვა საშინაო სირთულეების გამო – დაბრუნდით შინ, რადგან აქ ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე დსთ-ის სხვა ქვეყნებში. არსებობს თავისუფალი პრესა და დამოუკიდებელი ტელევიზია, ხოლო პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო ბიზნესი მყარ საფუძველს ქმნიან დემოკრატიისა და აყვავებისთვის", – თქვა კორტნიმ.

საქართველოს ახალგაზრდობას კორტნიმ „მეტი ცოდნის მიღება", ხოლო რეფორმების მომხრეებს „რწმენის შენარჩუნება" ურჩია. (პრაიმ-ნიუსი)

# სათბობენერგეტიკის პრობლემები პრიორიტეტულია აფხაზებისთვის

როგორც „იფრინდა"-ს სათბობენერგეტიკის მინისტრმა დ.ზუბიტაშვილმა განუცხადა, მოლაპარაკებებზე განხილული იყო ის ტექნიკური საკითხები, რაც დაკავშირებულია ენგურის კასკადთან და მისი ტექნიკური ექსპლუატაციის რეჟიმის შემუშავებასთან, მთლიანად „ენგურჰესი"-ს ნორმალურ ფუნქციონირებასთან. გამართული მოლაპარაკებებით ქართველ სპეციალისტებს კონფლიქტის შემდეგ პირველად ეძლევათ საშუალება ერთობლივ კომისიასთან ერთად ნახონ ვარდნილჰეს 1, 2, 3 და 4 სადგურები, რაც მისი რეაბილიტაციის საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული ჰესების უფუნქციობის გამო დღეისათვის იკარგება 360 მგვტ. ელ.ენერგია. ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთი რუსეთიდან 20–25 მგვტ-მდე ელ.ენერგიას ღებულობს.

მოლაპარაკებებზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და ვაჭრობის საკითხებზე. აფხაზურმა მხარემ დიდი დაინტერესება გამოთქვა თხევადი გაზით მომარაგების საკითხებში, რადგან თხევადი გაზი მათ გაცილებით ძვირი უჯდებათ. მინისტრის განცხადებით, საუკეთესო ვარიანტია – შეთანხმების საფუძველზე აღდგეს ტრასაზე ბენზინგასამართი სადგურები. სათბობით მომარაგების საკითხები იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია აფხაზურმა მხარემ, რომ მათივე ინიციატივით, ეს საკითხი ოქმში იქნა შეტანილი და მათზე მუშაობისას დ.ზუბიტაშვილს მხოლოდ ს.ბაგაფშთან ექნება ურთიერთობა. (იფრინდა)

# კავშირგაბმულობის საკითხებზე აფხაზები ჯერ კიდევ ფიქრობენ

აფხაზებს საქართველოს ერთიან სისტემაში ჩართვა ჯერ კიდევ არა აქვთ გააზრებული. ამის შესახებ „იფრინდა"-ს კორესპონდენტს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ განუცხადა.

ქართული მხარე მზად არის აჩვენოს საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვის ტექნიკური საშუალებები, მაგრამ მინისტრისავე განცხადებით, ყოველივე ეს ინფორმაციის გაცვლის დონეზე მოხდება. (იფრინდა)

# „აფხაზეთს ეკონომიკურად რუსეთი მიიბავს"

„თანდათან ხდება აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორება და მისი რუსეთისათვის გადაბარება. საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ეკონომიკურად აფხაზეთს რუსეთის მიიბავს" – განაცხადა პრესკონფერენციაზე „სახალხო ფრაქციის" წევრმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კობახიძემ.

მისი თქმით, ფრაქციას მიაჩნია, რომ რუსეთის შუამავლობით საქართველო ვერაფერს მიაღწევს, საჭიროა დიპლომატიური სამსახურის გააქტიურება, რათა რუსეთის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონიდან გავიდნენ და სასაზღვრო ფუნქციები აღარ შეასრულონ. მანვე აღნიშნა, რომ ამის პარალელურად, საქართველომ უნდა გააძლიეროს არმია და ქვეყნის ეკონომიკა. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის აზრით, ეს არის ერთადერთი გზა რუსეთის, როგორც შუამავლის გამოსარიცხად. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ორიგინალური პრესკონფერენცია ორიგინალურ სახელმწიფოში“

ასე უწოდა გუშინ ღია ცისქვეშ გამართულ პრესკონფერენციას ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარემ, გერმანე ფაცაციამ. საქმე ისაა, რომ სასტუმრო „ივერიაში“ შუქის გამორთვამ დარბაზიდან „მინდორში“ გაიყვანა პრესკონფერენციის მონაწილენი.

პრესკონფერენციის მოწვევის მიზეზი დღეს დანიშნული დევნილთა შეკრება იყო, რომელიც დღის სამ საათზე გაიმართება სასტუმრო „ივერიის“ წინ. კრებას ორგანიზებას გაუწევს დევნილთა საკოორდინაციო საბჭო. ამ აქციით მათ პროტესტის გამოხატვა სურთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისადმი, რომელიც თავისი პოლიტიკური კურსით შეურაცხყოფას აყენებს დევნილებს და საზოგადოებას თვალს უხვევს, თითქოს მათი 90% აღფრთოვანებული იყოს აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენებით.

შეკრებაზე მოწვეულნი არიან ნატო ონიანი და ირაკლი მაჭავარიანი, რომელთაც, ფრაქცია „აფხაზეთის წევრის, ბორის კაკუბავას ვარაუდით, გამოცხადების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ აცდებათ. (გეა)

## რუსეთში გასვლას უკრძალავენ

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, „ზემო ლარსის“ საბაჟოსთან, კვლავ დიდი რაოდენობით სატვირთო ავტომანქანებია თავმოყრილი, რომლებსაც რუსი მესაზღვრეები რუსეთში გასვლას უკრძალავენ.

როგორც ცნობილია, სპირტით დატვირთული ავტოცისტერნები ვლადიკავკაზში მიემგზავრებიან.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს აღნიშნული მანქანების მძღოლებს საზღვრის ძალით გარღვევა ჰქონდათ დაგეგმილი, რასაც თვით მძღოლები კატეგორიულად უარყოფენ.

მძღოლების თქმით, ისინი მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებენ, ხოლო მათთვის იძულებითი გაჩერებით მიყენებული ზარალი გაცილებით აღემატება დამკვეთთან დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულ თანხას. (გეა)

# ომი დამთავრდა! მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხნო!

### 1. რომელ გველეშაპს უჭირავს „ბორჯომის“ წყალი?

იმ ავადსახსენებელ კომუნისტების დროს“ ყვიბისელები ძირითადად დასაქმებული იყვნენ ქარხნებში, სანატორიუმებში და სხვადასხვა დაწესებულებებში. ამიტომაც ვერ გრძნობდნენ უმიწობას, უსაქონლობას და იმ ყველაფრის დეფიციტს, რაც სოფლის მოსახლეს უნდა ჰქონდეს, რათა თავი ირჩინოს. ეგ კი არა და, სოფლის ბიჭები სიმწარენარევი ირონიით იხსენებენ უბნის რწმუნებულს, რომელიც დღე და ღამე უმუშევრებს დასდევდა, „ნეტა ახლა რატომ არა ჩანს ეგ დალოცვილიო“.

დღეს მათი გაჭირვება უსაშველოა და ყოვლისმომცველი. თანაც იმდენად ბანალური, რომ ყველაფრის ჩამოთვლა რაღაცნაირად უაზრო ხდება. აქ შედის ყველაფერი, დაწყებული პურის ფულიდან და წამლიდან, დამთავრებული ბავშვის წიგნითა და ფეხსაცმლით (მეტზე ოცნებაც შეუძლებელია). ყოველივე ეს სათქმელად ადვილია, ქაღალდი კიდევ, მოგეხსენებათ, საერთოდ ყველაფერს იტანს, მაგრამ აბა სცადეთ და მოუსმინეთ ამ ხალხს, რა განწყობა დაგეუფლებათ. მით უმეტეს, თუ შველა ვერ შესძელით.

აქ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვისაც შეუძლია მათი შველა და ხსენებული გულისამაჩუყებელი სცენებიც უნახავს, გული რა ადგილას აქვს? ეს ხალხი ხომ არ ითხოვს კრედიტებს, დაფინანსებას ან რამე პრივილეგიებს, რომლებიც, როგორც წესი, დიდ სიძნელეებთან არის ხოლმე დაკავშირებული, უბრალოდ: „ნუ წაგვართმევთ ამ ღვთის მიერ ბოძებულ სარჩო-საბადებელს“. აი სულ ეს არის.

არაო, „მე თქვენი პრობლემები არ მაინტერესებსო“, ასე უბრძანებია რაიონის გამგებელს ვ.ბერიძეს. არადა, ამ დალოცვილს ვისი პრობლემებით დაინტერესება ევალება, თუ არა თავისი რაიონის მცხოვრებლებისა? მოსულა სისხამ დილით და... ზოგი ამბობს, „გერმანიასავით დაგვეცაო“, ზოგი – „მურვან ყრუსავითაო“. კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს – ყრუსავით დაეცემა, თუ ბრმასავით.

მეორე მოდავე (ხალხი „მოფერებით“ ყველას „გველეშაპებს“ უწოდებს და ამ მოსწრებული შედარებით სარგებლობის უფლება უფასოდ გვიბოძეს) TBC ბანკია, რომელსაც რა აქვს ნაყიდი და რანაირად, ყველამ ჩვენი დახმარების გარეშეც კარგად იცის. მას სურს, რომ „ბორჯომს“ ფასი არ დაუგდონ, კონკურენცია არ გაუწიონ.

საბოლოოდ „ბორჯომის“ წყალს მილიციელები დარაჯობენ, რათა არავინ აიღოს და მშვიდობიანად ჩავიდეს მტკვარში. რეკლამა:

> *თბილისელებო და დედაქალაქის სტუმრებო, სვით მტკვრის წყალი, მასში დიდი რაოდენობით „ბორჯომი“ ურევია!*

იმისათვის, რომ მტკვარში „ბორჯომის“ შემადგენლობა არ შემცირდეს, რაიონის ხელმძღვანელობა საკმაოდ ეფექტურ ბრძოლას აწარმოებს: დაცვა, მატარებელში შესვლის დროს პროვოკაციული წინააღმდეგობა, რაც შესაძლებელია ტრაგედიითაც დამთავრდეს (ხალხი პურის ფულზე იბრძვის), ზემოთ აღნიშნულ ვანდალურ აქტზე აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს. მილიციის უფროსს ო.ლომიძეს ისიც უთქვამს: თუ არ მოისვენებთ, ათიოდე კაცს, მოთავეებს დავიჭერო (ოცდაჩვიდმეტი წელია, რაღა).

ლიცენზიის აღებას რაღა უდგას წინ? ყველამ თქვა, რომ ლიცენზიისათვის ისეთი რთული ტექნოლოგიური მოთხოვნები წამოაყენეს, რაც ოჯახისთვის ძნელი შესასრულებელიაო (კატათაგვობანა კატების მოგონილიაო). რაც შეეხება წყლის შემადგენლობას, ყველა გარანტიას იძლევა, რომ მათი ჩამოსხმული „ბორჯომი“ არათუ არ ჩამოუვარდება ქარხნისას, არამედ ხშირად სჯობს კიდევაც მას. როცა ამის საშუალებას აძლევდნენ, ყოველთვის აკეთებდნენ ლაბორატორიულ ანალიზს და შესანიშნავი შედეგები ჰქონდათ. თ.კურტანიძის დირექტორობის დროსაც ვყიდიდით „ბორჯომს“ და თუ „მას არ ვუშლიდით ხელს, ამათ რა, ცოლშვილი დავუტოვეთ მშივრებიო“?

### 2. ტყუილი აქციები

შორიდან კაცს მოეჩვენება, რომ სოფელს ჯიუტად არ სურს კანონიერი გზით „ბორჯომის“ წარმოება და ე.წ. „პარტიზანობა“ თვითმიზნად აქვს გახდილი. მაშ იმას რაღა ვუყოთ, რომ 1992-93 წლებში შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ბორჯომი“, რომლის აქციონერებიც გახდნენ სოფლის მცხოვრებლები. გადაიხადეს ფული (ერთი აქცია 60 ათასი კუპონი, იმდროინდელი შეფარდებით მანეთთან 1X1 იყო) და თავი კანონიერ მეპატრონეებად მიაჩნდათ.

მაგრამ ქვეყნის განაწილება იმ დროს მხოლოდ იწყებოდა და ვინ მისცემდა ყვიბისელებს მსოფლიო მნიშვნელობის „ბორჯომის“ წყალს. დაიწყო ხელახალი გადანაწილება. ხალხისთვის ეს იმაში გამოიხატა, რომ სააქციო საზოგადოების შექმნა უკანონოდ სცნეს. მოკლედ, ქარხანაც „დააწერეს“ და ფულიც არა, ფულს დაგიბრუნებთო, ზეპირად უთქვამთ (ალბათ, როგორც ჩვენი მთავრობა „უბრუნებს“ 1990 წლის 1000 მანეთში ორ ლარს), მაგრამ საქმე მხოლოდ ფულის დაბრუნებაზე კი არ არის, არამედ იმ უფლებაზე, რომელიც ქარხნის შესყიდვის საშუალებას აძლევდა შრომით კოლექტივს. კი, ბატონო, შეიძლება ვიღაცამ არასწორი ოპერაციები ჩაატარა სააქციო საზოგადოების შექმნისას, მაგრამ ამ ხალხს ხომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რატომ უნდა დაისაჯონ უსამართლოდ? ეს ოხერი, თუ არაბეთის მთავრობას ესმის იმდენი, რომ ბუნებრივი სიმდიდრის ამოღების სანაცვლოდ თავის ხალხს კომპენსაცია მისცეს, ჩვენსას რაღა დაემართა? უფრო პროგრესულ მთავრობად ხომ მოაქვს თავი?

ვისაც „ბედმა გაუღიმა“ და საწარმოში იშოვა ადგილი, რომელსაც უცხოელები აკონტროლებენ, მონური შრომით ქანცი წყდებათ მიზერული ანაზღაურების ფასად. იმ თანხასაც თვეობით არ უხდიან (უჭირთ, ალბათ, ფული არა აქვთ). მაღაზიებში და ჯიხურებში ასფურცლიანი რვეულები სავსე აქვთ პურის ნისიებით. აგერ ჩამოვა პაპანდოპულო და გადაიხდის პურის ვალებს.

### 3. რად მინდა ასეთი მშვიდობა!

მომავალზე რაღას ფიქრობენ? არსებობს ორი „აზრი“: პირველი – მშვიდობიანი: მთელი სოფელი მოვაწერთ ხელს მიმართვას და შევარდნაძეს გავუგზავნითო („კეთილი მეფის“ იდეა, როგორც ჩანს, ხალხისათვის უკვდავია). მეორე – ნაკლებად მშვიდობიანი: თუ ჩემი ბავშვი მშიერი დამრჩა, ვინც ცარიელზე დამტოვა, იმას წავართმევ. მართლაც, რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც პურის შოვნის არავითარი შანსი არა აქვს?

ასეთი აზრიც გაისმა: რად მინდა ასეთი მშვიდობა, როცა ხალხი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად იქცა, როდესაც ორი კაპიკის ფასად უცხოელებს მონებად მივეყიდეთ, ბავშვები შიმშილით გვეხოცება და ქვეყნის გარეთ მათხოვრებად გვიცნობენ. გვარს არ დავასახელებ, ქვეყნის პრეზიდენტის დაყვედრებული მშვიდობა ხომ აუნაზღაურებელი დანაკლისის ფასად დაგვიჯდა, იგივე შეიძლება ითქვას ამგვარადვე დაყვედრებულ სტაბილიზაციაზე, რომლის გამოც ყოველგვარი ძალოვანი თუ ფულოვანი სტრუქტურები სტაბილურად ავიწროებენ უბრალო ხალხს.

დიახ! ომი დამთავრდა. მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხნო! ახლა უფრო გულდადინჯებით გაგლეტენ გადიდკაცებული თქვენი მოძმენი.

**პაატა მანჭულაშვილი**



# ნეტავ როგორ აჭრიან ყურებზე ხახვს?

*„დალოცვილი ქრისტე ღმერთო, ოქროს ტახტზე დაბრძანდება, ხელში სასწორი უჭირამს ცოდო-მადლი იწონება“*

ჩვეულებრივ ადრე იწყებს მუშაობას მთაწმინდის რაიონის სასამართლო. დილიდანვე დგანან სასამართლოს თანამშრომლები მართლმსაჯულების სადარაჯოზე... ალბათ, ასე დაიწყებოდა წერილი მოცემულ თემაზე ამ ათიოდე წლის წინ. შემდეგ აღფრთოვანებული ავტორი აღწერდა, თუ როგორ მოვიდა სახეგაბრწყინებული ქალბატონი ნელი, როგორ აჩუქა თავაზიანი სალამი ასევე ღიმილად დაღვრილ თანამშრომლებს და როგორ შეუდგა მოსული ხალხის მიღებას მათი გაჭირვების ტალკვესი... სასამართლოს ცხოვრებაზე ასეთი შეხედულება სისულელეა, და მხოლოდ მართლმსაჯულებისადმი უდიდესი პატივისცემა მაიძულებს უფრო მკვახე გამოთქმებისაგან თავი შევიკავო.

ათი წლის წინ შეიძლება მართლაც სახეგაბრწყინებული ხვდებოდა მომსვლელებს ქალბატონი ნელი, მაგრამ... ეს ოხერი დრო, ხომ მოგეხსენებათ... დღეს, როგორც ეტყობა, ყველა მომსვლელი მასში უსიამოვნო ასოციაციებს აღძრავს და ბოროტი ენები ამბობენ, განსაკუთრებით ჟურნალისტებს არ სწყალობსო. საეჭვოა, რომ პოპულარობა იყოს ამის მიზეზი.

ახლა უფრო კონკრეტულად. რედაქციაში მოვიდა ერთი ქალბატონი, რომელსაც მთაწმინდის რაიონის სასამართლოში გაჭიანურებული პროცესის საქმე აწუხებდა. საქმის ვითარების ობიექტურად შესწავლის მიზნით სასამართლოს ვესტუმრე და ქალბატონ ნელი დარცმელიძეს დახმარება ვთხოვე. „-რას ბუტბუტებ შეილო, ხმა ამოიღე“, უმალ გონზე მომიყვანა სიმართლის მსახურმა. ჩემი არასასურველი დიქციის შესახებ არასდროს არაფერი მსმენია, ეტყობა, თვითონ ქალბატონი მიჩვეულია ხმამაღლა ლაპარაკს, ამიტომაც ჩემმა ხმამ დისონანსი შეიტანა მისი ცხოვრების ჩვეულ წესში. კიდევ ერთხელ განვუმარტე ჩემი თხოვნის შინაარსი, მაგრამ, როგორც ჩანს, თხოვნასა და მოთხოვნას შორის სხვაობა მისთვის ძნელი დასადგენია. „-მერე შენ ვინა ხარ, რომ გაჩვენო?“ სათვალეებზე შეეტყო, რომ ჩემთვის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა. მრავალჯერ გამეორებული „შენობითი“ მიმართვის შემდეგ გავბედე და შევახსენე, რომ საამისოდ მას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. „-დიახ. სწორედ „შენ“ ხარ!“ ამჯერად ბრჭყალებში ჩასვა და თვალებზე ამაფარა. ეჭვი შემეპარა, მისამართი ხომ არ შემეშალა, სხვას ხომ არ ველაპარაკები-მეთქი და ვინაობა ვკითხე. „დიახ! სწორედ ეგა ვარ და ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო“, ქალურობის ყოველგვარი ნიღაბი მოიცილა და ისე „დამსაჯა“, უნებურად თვალი მისი ყურებისაკენ გამექცა. მადლობა მოვახსენე და წამოვედი. ან კი მეტი რა უნდა მექნა, იგი ისეთ ასაკშია, რომ რასაც იმსახურებდა, ჩემ თავს ნამდვილად ვერ ვაკადრებდი.

წარმომიდგენია, იმ გაჭირვებულ ხალხს რა დღეში ჰყრის ქალბატონი დარცმელიძე, რომელთაც ბედმა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გზა არგუნა ხვედრად. მაგრამ რამდენიც არ უნდა ვწეროთ, ჩვენს სასამართლოებს არაფერი ეშველებათ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი და მისი მთავარი მოქმედი პირი ტიპიურია ამ სისტემისათვის.

როდესაც აღნიშნული ინციდენტის შესახებ მოვყევი, მითხრეს: სასამართლო? მაგათგან „-წიხლი არ უნდა გეწყინოსო?“ ალბათ, ასეა.

მარად მთაწმინდის სასამართლოს თაყვანისმცემელი
**პაატა მანჭულაშვილი**

## სადღაა საქართველოს სუვერენიტეტი

ამას წინათ სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ამა წლის 20 აგვისტოს ჩრდილო ქართლში არარსებული ოსური სახელმწიფოს წარმონაქმნის თვითმარქვია პრეზიდენტმა ჩიბიროვმა საგანგებო წესები და კომენდანტის საათი შემოიღო თვითნებურად, რის განსახორციელებლად რუსეთის შეიარაღებული ძალები მოიწვია (!).

აღნიშნული კამპანიის ჭეშმარიტი დანიშნულება ნათელია: რეგიონში დარჩენილი მკვიდრი მოსახლეობის შევიწროება და გამოდევნა. საქართველოს ტელევიზია რიხით იხსენიებს ე.წ. „სამხრეთ ოსეთსა“ და მის პრეზიდენტს.

საქართველოს მმართველი მარიონეტული რეჟიმი ასეთ შემთხვევებში, როგორც ყოველთვის, დუმს. სადღაა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა?!

სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭო
**გელა გელაძე**

## განგაშის საფუძველი არსებობს

20 აგვისტოს ქართველ ნაციონალისტთა ერთობამ ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელიც ვშიშობთ, გაზვიადებულად ნათქვამი არ გამოგვადგეს, უფრო პროტესტის აქტს გამოხატავდა. ბოლოდროინდელი მოვლენები ნამდვილად იძლევა ამის საფუძველს.

ერთობის მეთაურმა გ.მამალაძემ ხაზი გაუსვა ე.შევარდნაძის ცინიკურ დამოკიდებულებას საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების მიმართ, რაც დღითიდღე უფრო მძიმე შედეგებს იწვევს.

მათ გაავრცელეს განცხადება, სადაც ნათქვამია: „გამომდინარე იქიდან, რომ ქართველი ერი იმყოფება საომარ მდგომარეობაში სეპარატისტებთან და მათ მფარველ ძალასთან, არძინბა-შევარდნაძის ერთობლივი განცხადება მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება შეფასდეს, როგორც საკაპიტულაციო პროცესის მნიშვნელობის ღონისძიება.“

„ჩვენ მოვითხოვთ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიებისგან, ქართული მასმედიისაგან ყოველგვარი ულტრალიბერალური, რადიკალურ-ჰუმანისტური და პაციფისტური კეკლუცობის გარეშე, ცალსახად, არა მარტო დააფიქსიროს თავისი პოზიცია, არამედ ეფექტურად გამოხატოს პოლიტიკური ნება აგრესიისა და ღალატის მიმართ“ – ნათქვამია განცხადებაში.

ქართველი ნაციონალისტები კონკრეტულ ღონისძიებებს მოითხოვენ საზოგადოებისაგან.

**ნანა ძველაია**

## ჯაბა იოსელიანმა გუშინ დილით შიმშილობა შეწყვიტა

„მხედრიონის" ყოფილმა ლიდერმა 72 წლის ჯაბა იოსელიანმა გუშინ დილით შეწყვიტა 17 დღის წინ დაწყებული შიმშილობა. ამის შესახებ მან განუცხადა თბილისის შსს მეხუთე საგამოძიებო იზოლატორის ხელმძღვანელობას", – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა ვალიკო გოგოლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ჯემალ ლეონიძის თქმით, იოსელიანის 17 დღიანი აქცია არ ყოფილა შიმშილობა, რადგან ის სვამდა წვენებს.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ჯაბა იოსელიანის ერთ-ერთი მოთხოვნა – გუშინწინ მას შეხვდა ეუთოს მისიის წარმომადგენელი საქართველოში იოჰანა შტიგლერი.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა იოსელიანის ადვოკატმა გოგმარ გაბუნიამ, მისი დაცვის ქვეშ მყოფი შტიგლერთან აპირებდა საუბარს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1995 წლის 15 ნოემბრის №100 დადგენილების კანონიერებაზე. იოსელიანის შიმშილობის პირველი მოთხოვნა იყო აღნიშნული დადგენილების საფუძველზე პატიმრობიდან განთავისუფლება და მისი დამკავებელი პირების დასჯა.

ეუთოს მისიის პრეს-ცენტრის ცნობით, იოჰანა შტიგლერმა და იოსელიანმა ისაუბრეს „მხედრიონის" ყოფილი ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შიმშილობის შეწყვეტის თაობაზე. „ეუთოს" მისიის განცხადებით, ისინი აგრძელებენ მეთვალყურეობას ჯაბა იოსელიანის საქმეზე. (პრაიმ-ნიუსი)



# ხომ არსებობს ზნეობრივი კანონები, ნუთუ პარლამენტარებს არ მოეთხოვებათ ზნეობა?

*რას წარმოვიდგენდი, ოდესმე კალამს თუ მოვკიდებდი ხელს, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრები ისე შეშფოთდნენ, გაზეთში („ალია" 15 აგვისტო) ჩემზე რომ ეწერა – „გელა შალამბერიძე (გაურკვეველი პიროვნება)" – იძულებული ვარ გამოვეხმაურო იმ პუბლიკაციას.*

არაფერი გაურკვეველი მე არ ვარ, ერთი მშრომელი კაცი ვარ, ფირმა „ომეგას" თანამშრომელი და სატელეფონო საუბრებში ჩვენი ფირმის წარმომადგენლები, ბუნებრივია, ჩემს სახელსაც ახსენებდნენ. რა მოხდა მერე? დანაშაულია?

დანაშაული ის არის, ფირმა „ელიზის" მიერ შექმნილი მოთვალთვალეთა ჯგუფი „ომეგას" სატელეფონო საუბრებს რომ აყურადებდა, წერდა, შიფრავდა და ცნობებითა და მონაცემებით ბანდიტურ ჯგუფს რომ ამარაგებდა.

ბანდიტები ჩავარდნენ, ეს უკვე ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ „ელიზს" გავლენიანი მფარველები ჰყოლია, რომლებიც მთელ თავიანთ გავლენას იმისათვის იყენებენ, რათა გააუკუღმართონ რეალური ვითარება და დამნაშავენი როგორმე დაიხსნან. ამისათვის კი არანაირ უზნეობას არ ერიდებიან, ხოლო თუ რატომ არიან ასე მონდომებულნი, მიზეზი ბავშვისთვისაც ადვილი მისახვედრია.

ჯერჯერობით იმდენი მოახერხეს, რომ ფირმა „ელიზის" პრეზიდენტი და ბანდიტურ თავდასხმათა ორგანიზატორი თამაზ ელიზბარაშვილი თავდებით გამოუშვეს საპატიმროდან (ყველა სამართლებრივი წესის დარღვევით), მაგრამ, ცხადია, ეს არ კმარა და სურთ საბოლოოდ გადაარჩინონ კუთვნილ სასჯელს მოსყიდული ჟურნალისტებისა და ცრუ სამართალდამცველთა შემწეობით.

ეს შეუძლებელი იქნება, თუკი ბანდიტური თავდასხმის უშუალო შემსრულებელთაც არ უშველეს, რადგან ისინი ხელს ადებენ თამაზ ელიზბარაშვილს, როგორც ორგანიზატორს. არავის აქვს იმის სურვილი, რომ თავის თავზე ნებაყოფლობით აიღოს ორგანიზატორობა და სასჯელის ვადა გაიხანგრძლივოს.

ამიტომ იწყება აბსურდული მტკიცება, თითქოს ის ბანდიტური თავდასხმა... საერთოდ არ მომხდარა და „დადგმული სპექტაკლია", ვითომ არც ის უამრავი მამხილებელი ფაქტი არსებობს, რომელთა ნაწილიც გაზეთ „კრიმინალის" ფურცლებზე ქვეყნდება გაგრძელებებით.

რაკილა ჩინოსანთაგან გათამამებულმა, „ელიზის" მიერ დაქირავებულმა ადვოკატ-ჟურნალისტებმა ამ მიმართულებით დაიწყეს შრომა-გარჯა, ბუნებრივია, მოინდომეს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის დისკრედიტირებაც. იგი ხომ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბანდიტური ჯგუფის დაპატიმრებას.

შუაზე გახლეჩილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფრთის ლიდერს ირინა სარიშვილს თავისი მოსაზრებები ამოქმედებდა კახა თარგამაძის წინააღმდეგ და აი, „ელიზის" და ქ-ნ სარიშვილის მიზნები გაერთიანდა.

„ელიზს" ხელს აძლევდა ეროვნულ-დემოკრატთა ჩარევაც თავის დანაშაულებრივ ქმედებებში, ირინა სარიშვილი კი ისე იყო შეპყრობილი კახა თარგამაძის სიძულვილით, ანგარიში აღარ გაუწია, თუ რას სჩადიოდა და ადვილად დათანხმდა ესარგებლა „ელიზის" მიერ მიწოდებული, ფარულად მომზადებული ვიდეო-კასეტებითა და სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით.

როგორც დარწმუნებით გაირკვა პროკურორის სატელევიზიო გამოსვლით, ეს ჩანაწერები, თანაც აშკარად ფალსიფიცირებული, არავითარ მაკომპრომეტირებელ მასალას არ შეიცავს ფირმა „ომეგას" თანამშრომელთა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. მაგრამ თავისთავად ფარული ჩანაწერების გამოყენება უკვე ზნეობის ფარგლებს სცილდება. მითუმეტეს, რომ ეს ის ჩანაწერებია, რომელთა მოშველიებითაც დაიგეგმა და განხორციელდა ბანდიტური თავდასხმები.

ადამიანი პოლიტიკოსობაზე რომ სდებს თავს, განა შეიძლება კრიმინალებს დაუკავშირდეს, ოღონდაც თავის მიზანს მიაღწიოს?

თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ის ირინა სარიშვილი გახლავთ, ვინც ბრალი დასდო საქართველოს უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას, ფარულად რა უფლებით უსმენდი გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს, მაგ ადგილზე გასაჩერებელი არა ხარო.

თუ ფარული სატელეფონო მოსმენა დანაშაულია, ეს რატომ არ ვრცელდება თვითონ ქ-ნ ირინაზეც? აქ, ალბათ, ის ცნობილი ფორმულა მოქმედებს: დანაშაული არ არის ის, რაც პირადად ჩემთვის სასარგებლოა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს ხომ ამორალურ პიროვნებათა სამოქმედო დევიზია.

შოთა კვირაია ნოდარ გრიგალაშვილის მოსმენით განათლებას შეიძენდა და სხვა ისეთს რას დააშავებდა, აი, ბანდიტური აქციების განხორციელება, მერე კი დაზარალებულთა ყოვლად უსაფუძვლო შეურაცხყოფა და სატელეფონო საუბრების საჯაროდ გამოტანა მკაფიოდ მეტყველებს „ელიზ"-ედპ-ს ალიანსის სულისკვეთებასა და მიზნებზე.

რაკილა შინაგან საქმეთა მინისტრი ადვილად მოსარევი არ აღმოჩნდა, თამაზ ელიზბარაშვილი ძალიან დაფრთხა და განგაში ატეხა, ეროვნულ-დემოკრატები შანტაჟს მიწყობენ, მემუქრებიან, მაიძულებენ მასალების მიწოდებას, მაგრამ მე თბილისელი ბიჭი ვარ და ასეთ რამეებს არ ვიკადრებო.

ნეტავი რა ეგონა ირინა სარიშვილს, ბანდიტური თავდასხმის ორგანიზატორს გაუძნელდებოდა მიცემული სიტყვის გადათქმა ან თავისი დანაშაულის სხვისათვის გადაბრალება?

ყოველ შემთხვევაში, „ელიზის" პრეზიდენტის მტკიცებიდან ისე გამოდის, რომ ედპ-ს წევრები თვითონ უსხდნენ საიდუმლო აპარატურას და ახლა კი დანაშაულებრივ საქმიანობაში „ელიზის" ჩარევაც განიზრახეს, რისთვისაც შანტაჟსაც არ ერიდებიან.

თავიანთ ურთიერთობას „ელიზი" და ედპ ერთმანეთთან გაარკვევენ, აქ კი მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას.

ირინა სარიშვილი აცხადებს, რომ ვიდეო-კასეტები და სატელეფონო ჩანაწერები ხელთ აქვს 1996 წლის მარტიდან 1997 წლის თებერვლის ჩათვლით. იბადება კითხვა: რატომ მანამდელი არა, ან შემდგომი თვეების ჩანაწერები რატომ აღარ აქვს ხელთ? მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის? განა რა მოხდა ისეთი, რომ შსს მე-7 სამმართველოს მუშაკებმა (როგორც ირინა სარიშვილი ამბობს) აღარ დაისაჭიროვეს თავიანთ საქმიანობის გაგრძელება ანდა ქ-ნი სარიშვილი რატომ აღარ დაინტერესდა შემდგომი თვეების მასალებით?

მიზეზი უბრალო და ნათელია. შემდგომი თვეების ჩანაწერები არ არსებობს და ვერც იარსებებდა, იმიტომ, რომ 1997 წლის მარტის თვეში (თებერვლის მერე) დააპატიმრეს „ელიზის" მოთვალთვალენიც ანუ სადაზვერვო ჯგუფიც და ბანდიტობის უშუალო შემსრულებელნიც. რაც შეეხება 1996 წლის მარტს, – როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა (იხ. გაზეთ „კრიმინალის" ბოლო ნომრები), ეს ის დროა, როცა „ელიზის" მიერ შექმნილმა მოთვალთვალეთა ჯგუფმა თავისი საქმიანობა დაიწყო. ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ათჯერ გამოტყდებაო, ამაზეა ნათქვამი.

ედპ-ის ერთი ფრთის ლიდერი ამაოდ ცდილობს პოლიციის არარსებულ თანამშრომელს დააბრალოს ამ მასალების მიწოდება. მიმწოდებელი „ელიზია" და ამიტომაც არის, რომ „ომეგას" ლანძღვასთან ერთად ქ-ნი სარიშვილი სიტყვის შეუცვლელად იმეორებდა ყველა იმ საქებარ სიტყვას „ელიზის" მიმართ, რაც ამ ფირმის მომხრეებმა დაამუშავეს და სხვადასხვა ხელმოწერით ავრცელებენ.

ელემენტარული ანალიზის უნარიც საკმარისია, რათა ალიანსის კვალი ვერ დაფარონ.

ადვოკატი კობა დავითაშვილი ძალიან მონდომებულია ხელი დააფაროს ედპ-ს ერთ-ერთი ფრთის ლიდერს და აცხადებს: სასამართლო რომ გაიმართოს, ირინა სარიშვილი, როგორც პარლამენტარი, არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მასალების მიმწოდებლის ვინაობა.

მე იურიდიულ კანონებში ნაკლებად ვერკვევი და იქნებ ყოველი მოქალაქისათვის სავალდებულო წესები და მოვალეობანი პარლამენტარებზე მართლაც არ ვრცელდებოდეს, მაგრამ განა ეს უფლებას აძლევთ მათ, რასაც მოისურვებენ, ისე აკეთონ?

გარდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებისა, ხომ არსებობს ზნეობრივი კანონები და ნუთუ პარლამენტარებს არ მოეთხოვებათ ზნეობა?

სხვათა შორის, კობა დავითაშვილი ფირმა „ელიზის" ადვოკატია.

სხვათა შორის, ფირმა „ელიზის" ადვოკატი კობა დავითაშვილი დამცველად დაუდგა „ელიზის" მფარველობაში მხილებულ ორ ჩინოსანს გახმაურებულ სასამართლო პროცესზე, რომელიც იმით დასრულდა, რომ ზემოთ არ აღნიშნულმა ამხანაგებმა ბოდიში იხადეს.

სხვათა შორის, ადვოკატი კობა დავითაშვილი ყოველნაირად ცდილობს ჩირქი მოსცხოს დაზარალებულ ფირმა „ომეგას" და იდეურად გააგრძელოს მოთვალთვალეთა და ბანდიტური ჯგუფის საქმიანობა.

ქ-ნ სარიშვილის მხარდამჭერად მისი გამოჩენაც ამავე კანონზომიერებებით ხდება, თორემ, აბა, ყველაფერი შემთხვევითი როგორ არის.

წერა რომ მეხერხებოდეს, გაცილებით მეტს ვიტყოდი ამ მოვლენებზე, მაგრამ ეს საქმე უფრო კომპეტენტური ადამიანებისათვის მიმინდვია.

**გელა შალამბერიძე**

● წერილი მთავარ რედაქტორს

# ჩვენ ოპერატიული მუშაკები ვართ და...

ბატონო ნოდარ!

გაზეთ „საქართველოს" ა/წლის 13-15 აგვისტოს №81-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „სვანმა თუ დააშავა, ამბობენ, სვანებმა დააშავესო" ქალბატონი მარიამ ქავთარაძე ტენდენციურად და არაობიექტურად აშუქებს გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მთელი კოლექტივის და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელის მუშაობას. ქალბატონი მარიამი აყვა პოლიციაზე განაწყენებული პიროვნებების ამბიციებს და თქვენი სოლიდური გაზეთის მეშვეობით რესპუბლიკას აცნო, რომ გარდაბნის რაიონში უშველეთ სვანებსო. პატიოსან ხალხს საშველი არაფერი სჭირს. კორესპონდენტი რომ მობრძანებულიყო ჩემთან, მას გავაცნობდი რაიონში მიმდინარე პროცესებს, შევახვედრებდი სალადმოაზროვნე სვან მოსახლეობასთან, ასევე 21 სვან პოლიციის მუშაკთან, რომლებიც არ მისტიროდნენ იმ დროს, როდესაც განუკითხაობა მეფობდა რესპუბლიკაში და მათ შორის ჩვენს რაიონში, როდესაც პოლიციის უფროსებს იტაცებდნენ კაბინეტებიდან. დამნაშავეებს და მათთან მიტმასნილ პირებს არ აწყობთ რესპუბლიკაში მიმდინარე სტაბილიზაციის პროცესები და დაიწყეს შინაგან საქმეთა ორგანოების, მათი ხელმძღვანელების დისკრედიტაცია.

გარდაბნის რაიონი ერთ-ერთი უდიდესი რაიონია საქართველოში, როგორც ტერიტორიულად, ასევე მრავალეროვანი მოსახლეობით. ჩემი მუშაობის თითქმის 2 წლის მანძილზე, რაიონში ეროვნული შუღლის ნიადაგზე არც ერთი დანაშაულებრივი ფაქტი არ მომხდარა, არც ერთ სოფელში ერთმანეთს არ გადაჰკიდებიან ქართველი და აზერბაიჯანელი, სომეხი და ასირიელი, რუსი და ბერძენი. ეს ყველაფერი რაიონის ხელმძღვანელობის და სამართალდამცავი ორგანოების უდიდესი დამსახურებაა. სტატიაში გაუგებარია, რა შუაშია სვანი და მათი შევიწროება ჩემს მიერ. 30 წელია შინაგან საქმეთა ორგანოებში ვმუშაობ და ჩემი დევიზი ყოველთვის იყო, არის და იქნება: „დამნაშავეს ეროვნება არა აქვს". ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი ბუმბერაზი მთების შვილებს, ღმერთმა გაანათლოს ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობრების ბორის კახიანის, სერგო კვიციანის, სერგო ხვისტანის, ჯობე ონიანის სულები, ღმერთმა კარგად მიმყოფოს ჩემი მეგობრები: თემურ ონიანი, მურმან ლიპარტელიანი, ჟორა-ზურაბიანი, ირაკლი ხარძიანი, გულიკო გულბიანი, ჟორა ფიცხელანი და მრავალი სხვა.

ახლა კი მივყვეთ სტატიას: „ხალხის არჩეული" – ვინ აირჩია გასარკვევია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების კანონი ჯერ კიდევ არ გვაქვს – ბატონი ზაურ ზურაბიანი აღნიშნავს, რომ მათი (სვანების) უფლებები გათელილია პოლიციის მიერ?! ამ ორიოდე თვის წინ პოლიციის განყოფილება ატარებდა ოპერატიულ ღონისძიებას რატიანის, ჯოხაძის და ჯაფარიძის ბანდიტური ჯგუფის ასაყვანად. ღამის 11 საათზე ბატონი ზ.ზურაბიანი მივიდა იმ ადგილზე, სადაც ჩასაფრება გვქონდა მოწყობილი, მის ავტომანქანაში იმყოფებოდა ჩვენთვის და მთელი სოფლისთვის ცნობილი პიროვნება ნარკომანი, ე.წ. „შავი" სამყაროს წარმომადგენელი. ჩვენი ოპერატიული თანამშრომლების მიერ ისინი წარმოდგენილი იქნენ განყოფილებაში, ვინაობის დადგენის შემდეგ ისინი გაუშვეს. მეორე დღეს ბ-ნ ზაურს პირადად მე, ჩემი და თანამშრომლების სახელით, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, მოვუხადე ბოდიში პოლიციაში წარმოდგენისათვის და საყვედურიც ვუთხარი, რომ უნდა იცოდეს, ვის ისვამს ა/მანქანაში.

„ორი უდანაშაულო ბიჭი (ძმები) დაიჭირეს, სცემეს, ხელბორკილები დაადესო". ბატონი ზაური და ქალბატონი მარიამი რომ მობრძანებულიყვნენ იმ ბიჭების მამასთან, იგი დაარწმუნებდა მათ, რომ მოვიქეცით ადამიანურად, ჰუმანურად. ამ ყმაწვილების ერთ-ერთი ძმა საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტია, იგი სოფლის კრების შემდეგ მოვიდა ჩემთან ინტერვიუს ასაღებად და საქმის არსის გარკვევის შემდეგ, კაცურად ბოდიშის მოხდით წავიდა ჩემგან. მე არ მინდა პასუხი გავცე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ, 6-ჯერ ნასამართლევ, ამჟამად 10 წელმისჯილ ზურაბ იოსელიანის სიდედრს, ამჟამად ქურდობისათვის მჯავრდებულ დევდარიანის და გასვიანის ახლობლებს, ყაჩაღობის ჩადენის დროს თავისივე ავტომატით მოკლულ ქჭურასბედიანის ჭირისუფალს, მათ პასუხი სასამართლო ორგანოებმა უკვე გასცეს.

ბატონი ზაური დიდი მადლობელია რაიონის პროკურატურის მუშაკების, მან თავისი უვიცობით ალბათ არ იცის, რომ პროკურატურა ზედამხედველობას აწარმოებს შს ორგანოებზე და ჩვენ თუ ამდენი დარღვევა გვქონდა სვანი მოსახლეობის წინაშე, ისინი რას უყურებდნენ? მით უმეტეს, ჩვენი ყოფილი პროკურორი მათი ახლო ნათესავი იყო.

ახლა მინდა მოგახსენოთ სოფლის საკრებულოს თავმჯდომარის, სოფლის რჩეულის ბატონ ზაურ ზურაბიანის პიროვნულ ღირსებებზე. იგი აღნიშნავს, რომ სოფლის ახალგაზრდობას ვერ მოუძებნა დასაქმების წყარო, მაშინ როდესაც გარდაბნის რაიონში ჩამოსახლების დღიდან ამ სოფლიდან ქართული ჯარის რიგებში არც ერთი წვევამდელი არ გაწვეულა, ეს ის კაცია, რომელსაც არც ერთი თეთრი სახელმწიფო გადასახადიდან არც სახელმწიფო და არც რაიონულ ბიუჯეტში არ შეუტანია.

მინდა ჩემი წერილი ბ-ნ ზ.ზურაბიანის სიტყვებით დავამთავრო... „ეს არის ვიღაცის მიერ დაგეგმილი და დაპროგრამებული მოქმედება", სწორია, ბატონო ზაურ, თქვენ ამას ნამდვილად ვერ მოიფიქრებდით, ეს იმ პიროვნებების ჩანაფიქრია, ვინც არ ფიქრობს საქართველოს კეთილ მომავალზე, კრიმინალთა ალაგმვაზე, რათა ხალხმა და მათ შორის რაიონში ჩამოსახლებულმა მშრომელმა სვანებმა იცხოვრონ ისე, როგორც ეს ეკადრება პატიოსან ადამიანს.

ჩვენ ოპერატიული მუშაკები ვართ და არავის მივცემთ უფლებას, ფეხქვეშ გათელოს მშრომელი ხალხის, მათ შორის სვანების და მათი დამცველი პოლიციის კეთილსინდისიერი თანამშრომლების ავტორიტეტი.

პატივისცემით
**სოსო კარანაძე.**
გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი,
პოლიციის პოლკოვნიკი

## „აფხაზეთში „კოკა-კოლას" ქარხნის მშენებლობაზე საუბარი მიუღებლად მიმაჩნია"

„300 ათასი გამწარებული დევნილი აფხაზეთში დაბრუნებას ელოდება, ქართული დელეგაცია კი სოხუმში „კოკა-კოლის ქარხნის" მშენებლობის სასწრაფოდ დაწყების საკითხზე საუბრობს", – უთხრა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ, 20 აგვისტოს ქართული დელეგაციის სოხუმში ვიზიტის კომენტირებისას.

პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, რომ „აფხაზურ მხარესთან ბიზნეს-კონტაქტების საკითხების შესწავლის მიზნით, დელეგაციის შემადგენლობაში ჩართული იყო „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი თემურ ჰყონია, რადგან აუცილებელ ინფორმაციას ბიზნესმენები უკეთ ითვისებენ, ვიდრე ჩინოვნიკები".

ზურაბ ერქვანია მიუღებლად მიიჩნევს დისკუსიას, აფხაზეთში „კოკა-კოლას" ქარხნის მშენებლობაზე. „არ მინდა ქარხნის შემოსავალი აფხაზ სეპარატისტთა არმიის გაძლიერებას და ქართველთა მიმართ ახალი გენოციდის წამოწყებას მოხმარდეს", – უთხრა პრაიმ-ნიუსს ერქვანიამ.

უკეთესი იქნებოდა „კოკა-კოლას" ხელმძღვანელობა დევნილთა დასახმარებასა და მათი სოციალური პრობლემების გადაჭრაზე რომ ზრუნავდეს" – თქვა ზურაბ ერქვანიამ.

რაც შეეხება აფხაზურ მხარესთან ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობას, ერქვანიას თქმით, „გაურკვეველია, ვის და ვის შორის არის თანამშრომლობაზე საუბარი? ეკონომიკურ თანამშრომლობაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება დევნილთა მასიური და უპირობო დაბრუნება აფხაზეთში" – დასძინა ერქვანიამ. (პრაიმ-ნიუსი)

## განმეორებით გაიგზავნა ნოტა ჟენევაში

27 აგვისტოს ჩატარდება საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მისიის ხელმძღვანელის ალექსანდრე მარინოვის ავტომანქანის საგამოძიებო ექსპერიმენტი, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოპერატიულ ნაწილში თემურ მურღულიამ.

ალექსანდრე მარინოვი 13 ივლისს ავტომანქანით დაეჯახა ორ თბილისელ ახალგაზრდას, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ.

ნებართვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე მიღებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლის, ანდრეს პერსონისგან, რომელიც ერთი თვის განმავლობაში უკვე მესამედ ეწვია საქართველოს საგანგებო მისიით ჟენევიდან.

აქამდე საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ მარინოვის მანქანის ექსპერტიზის ჩატარება მოახერხეს, რადგან მას მოხსნილი არ აქვს დიპლომატიური იმუნიტეტი.

„გამოძიებამ კიდევ ერთხელ დააყენა პერსონის წინაშე საკითხი მარინოვისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიუღია", – თქვა მურღულიამ.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მალხაზ კაკაბაძემ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერ კიდევ გასულ კვირას გააგზავნა ჟენევაში განმეორებითი ნოტა მარინოვისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით, მაგრამ მასთან შეხვედრისას პერსონს არანაირი პასუხი არ უცნობებია ამ ნოტის თაობაზე.

**ვიკა ქავჟარაძე, ნანა მიშელაშვილი, პრაიმ-ნიუსი**

# ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?

## კრიტიკა, რომელიც მომავლის მემატიანეს საბუთად გამოადგება



როგორც ცნობილია, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ინიციატივით შექმნილია საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია (თავ-რე გიორგი კერესელიძე... [illegible] კერეალიშვილი), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებათა დადგენას, რამეთუ დღეისათვის ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს ერთი გამოკვეთილი აზრი. კერძოდ, არსებული ხელისუფლება, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, თვლის, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი თვითონ მოიკლა, ოღონდ იმას აღარ გვეუბნება – თავი რატომ უნდა მოეკლა?! მეორე – საზოგადოებრივი ვერსიით კი ზვიად გამსახურდია მოკლეს სწორედ ფაქტობრივი ხელისუფლების აგენტებმა.

მართალია, არცერთი ამ ვერსიების დამადასტურებელი იურიდიული საბუთი არ არსებობს დღესდღეობით, მაგრამ არსებობს სამაგიეროდ ლოგიკა, რომელიც ნათელს ჰფენს მკვლელთა ვინაობას. ლოგიკურად კი აი რა კითხვები იბმის, რომელსაც მოსდევს ასევე ლოგიკური პასუხები. კითხვა: ვინ იყო დაინტერესებული ზვიად გამსახურდიას მკვლელობით? პასუხი: ცხადია, ის ხელისუფლება, ვინც ჯერ მოსკოვის თაოსნობით 1991–92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით ძალაუფლება წაართვა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას და ვისგანაც იმჟამად (1993 წ. ოქტომბერში) ამ ხელისუფლების დაკარგვის აშკარა საფრთხე შეექმნა რუსის ჯარის დაუხმარებლობის შემთხვევაში. ამიტომაც ბუნებრივია, ეს საფრთხე კვლავაც რომ არ განმეორებულიყო, ამჟამინდელმა ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საშიში მეტოქის გასანადგურებლად. კითხვა: მკვლელმა ხელისუფლებამ ამ აქტით მარტო თავისი სამთავრობო სავარძელი განიმტკიცა, თუ სხვა მიზანსაც მიაღწია? პასუხი: კანონიერი პრეზიდენტის მოკვლით, რომელიც ამავე დროს იყო ეროვნული მოძრაობის შეუცვლელი ლიდერიც, მასონურ-კოსმოპოლიტური იდეებით შეპყრობილმა ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ ამავე დროს თავი მოჰკვეთა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც აუცილებლად გაგრძელდებოდა ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის შემთხვევაში. კითხვა: როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდიას, სამეგრელოს გზებზე, სოფლიდან სოფელში და ოჯახიდან ოჯახში გადასვლისას ფეხდაფეხ მისდევდა ტერორისტთა ბანდა, რომელიც აწიოკებდა იმ ოჯახებს, სადაც წინა ღამით სტუმრობდა პრეზიდენტი. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი და რა უნდა ყოფილიყო მათი საბოლოო მიზანი? რისთვის მისდევდნენ ისინი პრეზიდენტს? პასუხი: ზემოთ ითქვა და კიდევ ვიმეორებთ – ზვიად გამსახურდიას გზიდან ჩამოცილებით დაინტერესებული იყო მხოლოდ მისი მეტოქე ხელისუფლება. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტის მდევარი ტერორისტთა ჯგუფი იყო ხელისუფლების ძალისმიერი ორგანოს წარმომადგენლები – „სუკი", „მხედრიონი" ან პოლიცია და ცხადია, მისდევდნენ იმისათვის, რომ მოეკლათ იგი. კითხვა: აბა, ხელისუფლება რომ აცხადებს და ზ.გამსახურდიას გვერდში მყოფი ბესარიონ გუგუშვილიც ადასტურებს – ზვიად გამსახურდიამ თავი თვითონ მოიკლაო?! პასუხი: ჯერ ერთი, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ბესარიონ გუგუშვილის ეს განაცხადი, რითაც იგი არსებული ხელისუფლების იმავე ვერსიას ამაგრებს, ზვიადის მკვლელი ტერორისტების შეთავაზებული დავალება იყოს, რის საფასურადაც ბატონი გუგუშვილიც და ზვიადის ეგრეთწოდებული დაცვაც უვნებელი გაუშვეს საქართველოდან. მაგრამ, კიდევაც რომ ვირწმუნოთ ზვიადის თვითმკვლელობა, განა ამით ბრალდება მოეხსნება ფაქტობრივ ხელისუფლებას? ეს თვითმკვლელობა ხომ სპეცსამსახურების მიერ ალყაში მოქცეული კაცის იძულებითი სვლა იქნებოდა, რომელმაც ხუნტის ჯალათების ხელში ჩავარდნას თვითმკვლელობა ამჯობინა?! კითხვა: საიდან უნდა მოხვედრილიყო ზვიადის ცხედარი ვიღაც უბირი გლეხის – ზარანდიას ხელში და დასაჯერებელია თუ არა, რომ ამ გლეხმა ისე დაკრძალა პრეზიდენტი თავის ქოხში „საიდუმლოდ", რომ ვერც მისმა მდევარმა ტერორისტებმა, ვერც საერთოდ „სუკის" აგენტურამ ვერაფერი შეიტყო – სად დაიკრძალა პრეზიდენტის ნეშტი და თვით ამ საქმით სისხლხორცეულად დაინტერესებულმა ხელისუფლებამ ეს ამბავი სხვათაგან შეიტყო?! პასუხი: ესეც დადგმული სცენარია იგივე „სუკის" მიერ. როგორ შეიძლება იმის დაჯერება, რომ ტერორისტები, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ პრეზიდენტს, მისი დაღუპვის შემდეგ ისე აორთქლებულიყვნენ, რომ ვერაფერი გაეგოთ, ვინ და სად დაკრძალა იგი და მათი მეშვეობით ეს არ სცოდნოდა ხელისუფლებას. ცხედარი, მისი მოკვლის შემდეგ თვით სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა ჩააბარეს ზარანდიას თავის ქოხში დასაკრძალავად საიდუმლოს დაცვის კარნახით, თვითონ კი, შეასრულეს რა დაკისრებული მისია, გაეცალნენ იქაურობას კვალის დასაფარავად, ანუ ისეთი შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს მთავრობას არავითარი კავშირი არ ჰქონოდეს ამ ბოროტმოქმედებასთან. კითხვა: საინტერესოა, ზვიად გამსახურდიას დაღუპვაში მარტო ოფიციოზს მიუძღვის ბრალი? პასუხი: არა, ზვიად გამსახურდიას დაღუპვაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით იმათაც, ვინც მას გარს ეხვივნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ. ცნობილია, რომ ხუნტამ ვერაფერი დააკლო ზვიადს, სანამ იგი გროზნოში იმყოფებოდა. ამიტომ ზვიადის მეტოქე-ფაქტობრივი ხელისუფლების წინაშე დადგა საკითხი მისი საქართველოში ჩამოტყუებისა. ეს კი მხოლოდ მის „შინაურებს" შეეძლოთ. საამისო მომენტიც მალე დადგა. ზვიად გამსახურდიამ დაღუპვის გზაზე მდგომი და უსასოო მდგომარეობაში მყოფი ქართველი ერის გასამხნევებლად, აქ სამოღვაწეოდ და რეალური სიტუაციის გასაცნობად საქართველოში წარმოგზავნა უზენაესი საბჭო და მთავრობა, რომელთაც ფუნქციონირება დაიწყეს სამეგრელოს ცენტრში – ქ.ზუგდიდში. ხუნტას მისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან მთავარი იყო ზვიადის ჩამოტყუება, რისთვისაც (ამ ჩაურევლობით) მეტოქე ხელისუფლებას უქმნიდა ილუზიას თავისი „უსუსურობის" შესახებ, რათა მათ ზვიადიც ჩამოჰყოლოდა. ამუშავდა ზვიადის გარემოცვაში შეგზავნილი აგენტურაც. ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია გაზეთ „საქართველოში" (1996 წ. №66) დაბეჭდილ თავის წერილში – „როგორ მზადდებოდა შეთქმულება", აგენტებს შორის ასახელებს – ლ.ქობალიას, ვ.გაბელიას, გ.აბსანძეს, ტ.გელანტიას, რ.მარგველანს და სხვებს, რომლებმაც, მისივე თქმით, გააქტიურეს სიარული გროზნოში აგვისტო-სექტემბერში. აგენტურა მოქმედებდა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, გროზნოს რეზიდენციაში პრეზიდენტზე ზეწოლით – ჩამოსულიყო საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ, ზუგდიდში ჩამოსულ უზენაესი საბჭოს მიმართ ცრუპატრიოტული მოწოდებით – ჩამოეყვანათ პრეზიდენტი საქართველოში.

გროზნოში მოსიარულე დასახელებული პირები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ პრეზიდენტი, რომ თითქოს ყველაფერი მზად იყო ხუნტაზე იერიშის მისატანად, და ამიტომ აუცილებელი იყო მისი ჩამოსვლა საქართველოში. ხოლო რამდენადაც ამის პარალელურად პრეზიდენტის ერთგული პირები მას თავშეკავებისაკენ მოუწოდებდნენ და ამის გამო იგი მერყეობდა საქართველოში ჩამოსვლაზე, გ.აბსანძე, ვ.გაბელია და სხვები აშკარა მუქარაზე გადავიდნენ. კერძოდ, საქართველოში, რეალური სიტუაციის გასარკვევად გაგზავნილი გ.აბსანძე უმტკიცებდა პრეზიდენტს, რომ „აუცილებელი იყო მისი ჩასვლა საქართველოში, თორემ უქმად მყოფი გვარდია დაიშლებაო", (იქვე). ამის გარდა, როგორც ქალბატონი მანანა გვაუწყებს აღნიშნულ წერილში, „უკვე 1993 წლის სექტემბერში ვალერი გაბელიამ პრეზიდენტს გადასცა სამხედრო შტაბის წევრების თხოვნა (ეს ალბათ, ლ.ქობალიას მოწოდებით), რომლითაც მოუწოდებდნენ პრეზიდენტს – ჩამოსულიყო ზუგდიდში".

იგივეს მოქმედებდნენ ზუგდიდში მყოფი უზენაეს საბჭოში შეგზავნილი „სუკის" აგენტებიც, ოღონდ ჯერ დადგენილი არაა, კვლავ ის პირები მოქმედებდნენ აქაც, რომელსაც ქ-ნი მანანა გვისახელებს – ქობალია, გაბელია, აბსანძე, გელანტია... თუ სხვები. ამიტომ მკითხველს მოვახსენებ მხოლოდ ფაქტს იმ დროს, როცა მთელ საქართველოში ნამდვილი ომი იყო გამოცხადებული იმ 87% ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ვინც მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას, – იმ დროს, როცა შევარდნაძის გვერდში მდგომი ჯაბას კრიმინალებისა, კიტოვანის გვარდიელებისა და მათი მხარდამჭერი წითელი ინტელიგენციის მიერ ქვეყანა იყო აკლებული და არავითარი გარანტია არ არსებობდა აქ ჩამოყვანილი პრეზიდენტის სიცოცხლის დაცვისა, 1993 წლის 2 სექტემბერს იმართება ქ.ზუგდიდში უზენაესი საბჭოს სესია, რომელიც ღებულობს პრეზიდენტისადმი მოწოდებას – ჩამოვიდეს საქართველოში. რა იყო ეს, პოლიტიკური სიბეცე თუ აშკარა ღალატი? ვფიქრობ, ერთიც და მეორეც. სიბეცე იმ რიგითი დეპუტატებისაგან, ვინც [illegible] ბოდა ბატონ ზვიადს და უბრალოდ უხაროდა მისი დაბრუნება საქართველოში, ოღონდ თავიანთი მოკლე მხედველობის გამო იმას ვერ ითვალისწინებდნენ, რა მოჰყვებოდა ამას, – ხოლო აშკარა ღალატი იმ ლიდერთაგან, ვისაც ესმოდა პრეზიდენტისათვის დამღუპველი სიტუაცია და მაინც უკარნახა და მიაღებინა სესიას მოწოდების (დადგენილების) ეს ტექსტი.

ჰო, კინაღამ მთავარი დამავიწყდა – თვით ის, ეგრეთწოდებული ლოთი ქობალიას „უძლეველი" გვარდია, რომლისკენაც ესოდენი ყურადღება მიმართეს პრეზიდენტისა, სინამდვილეში კარგად მომზადებული სცენარი იყო საქართველოში მის ჩამოსატყუებლად. გვარდია, ქალბატონ მანანას თქმით (რაც ეჭვს არ იწვევს... [illegible] უაღრესად სარწმუნოა), თავიდან ბოლომდე შეაიარაღა იმ დროს შევარდნაძის გვერდში მყოფმა კიტოვანმა, ხოლო მას აფინანსებდა ასლან აბაშიძე. მიზანი ერთი იყო – დაერწმუნებინათ პრეზიდენტი იმაში, რომ ლოთი ქობალიას არსებული გვარდიის სახით ჰყავს საქართველოში მტკიცე დასაყრდენი ხუნტის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის. სინამდვილეში, როგორც ეს უკვე ცნობილია, ლოთი ქობალიამ და მისმა გვარდიამ გადამწყვეტ მომენტში მარტოდ-მარტო დატოვა პრეზიდენტი და იგი „სუკის" ჯალათებს მიუგდო გასასრესად.

ასე და ამგვარად, როცა ყველაფერი მომზადდა პრეზიდენტის ჩამოსატყუებლად, ორ დაფაზე მოთამაშე ასლან აბაშიძემ სპეციალური თვითმფრინავი გამოჰყო რეისით ბათუმი-გროზნო. ეს ის ასლან აბაშიძეა, ვინც (ქ-ნ მანანას მტკიცებით) ხუნტის მოწინააღმდეგე ძალებისაგან ქუთაისის დასაცავად თ.შაშიაშვილს ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით გამოუგზავნა 50 ჯავშანტრანსპორტიორი შესაბამისი შეიარაღებითა და 500 კაციანი საბრძოლო ეკიპაჟით, ხოლო უკანასკნელ ჟამს ყოველმხრივ გზამოჭრილ პრეზიდენტს „აჭარისაკენ მიმავალი ყველა გასასვლელი რომ გადაუკეტა" (იქვე).

აღნიშნული თვითმფრინავით, 1993 წლის 24 სექტემბერს გროზნოში ჩაფრინდა სცენარის ერთ-ერთი მთავარი დამდგმელი გურამ აბსანძე, რომლის თანხლებით, ამავე თვითმფრინავით ბ-ნი ზვიად გამსახურდია ჯერ სენაკში, ხოლო იქიდან ზუგდიდში ჩამოვიდა. ამგვარად, ზვიად გამსახურდიას დაღუპვაში ბრალი მიუძღვის როგორც ხუნტის ხელისუფლებას, ასევე ზვიადის გვერდში მყოფ ფსევდოეროვნულ წარმომადგენლებსაც. კითხვა: თუკი, მაგალითად, ლოთი ქობალია ზვიად გამსახურდიას მოღალატე იყო და იგი შევარდნაძის ხელისუფლების დავალებებს ასრულებდა, რატომ ჩასვა ციხეში იგივე ხელისუფლებამ? პასუხი: მოღალატის ბოლო, საერთოდ, ესაა. მას არავინ ენდობა. ამიტომ ასეთებს იყენებენ და შემდეგ აგდებენ. სხვათაშორის, იგივე ბედი ხვდათ თენგიზ კიტოვანსაც და ჯაბა იოსელიანსაც. სხვებმა კი გაასწრეს, მაგრამ მათ დასჯით ღმერთიც, ერიც და ეროვნული ისტორიაც. კითხვა: ზვიად გამსახურდიას დაღუპვიდან გავიდა უკვე 4 წელი და მაინც არ წყდება ჭორები იმის შესახებ, რომ იგი ცოცხალია და თითქოს ნახეს კიდევაც – ზოგმა იერუსალიმში, ზოგმა უნგრეთში და ა.შ. ვინ ავრცელებს ამ ჭორებს და რა მიზანს ისახავს იგი? პასუხი: როგორ შეიძლება ამის დაჯერება, როცა თვით ცოლ-შვილმა ამოიცნო ცხედარი, სათანადოდ იგლოვა და დიდის პატივითაც დაიკრძალა იგი ქ.გროზნოში. ამ ხმებს, ჩემი აზრით, „სუკი" ავრცელებს, რომლის მიზანია ან ის, რომ აპამპულოს ზვიადის გულშემატკივარი ხალხი, ანდა ის, რომ მოჩვენებითი იმედებით კვებოს მისი მიმდევრები, რათა აიცილოს თავიდან შესაძლო პროტესტები (გართულებები).

**მიხეილ მჭედლიშვილი**
ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამდგენი საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის წევრი,
წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

● გვწერენ

# მოვეშვათ უადგილო და უხერხულ პარალელებს

ვინც სისტემატურად ადევნებს თვალ-ყურს ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამ ბოლო ხანებში მათ მასალებში სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი ეთმობა ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენს და მის ხოტბას.

როგორც ყოველთვის, აქაც გვიღალატა ზომიერების გრძნობამ.

საქმე იმაშია, რომ პრეზიდენტის ამ წრეგადასულ განდიდება-პოპულარიზაციის კამპანიას (შეიძლება ითქვას, კაკაფონიას) ამ ბოლო ხანებში უხერხული სიმპტომებიც აეკიატა თან.

აქ ლაპარაკია ე.შევარდნაძისა და იოსებ სტალინის პიროვნებებისა და მათი ისტორიული როლების შედარება-დაპირისპირებაზე, რა თქმა უნდა, პირველის სასარგებლოდ, რაც არ უნდა იკადროს ქართველმა ხალხმა.

აი, ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი ზემოთნათქვამის დასადასტურებლად.

ამ ცოტა ხნის წინ ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ჯერ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულმა, ხოლო შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკაში" გადაბეჭდილმა მურმან ჯგუბურიას წერილმა „უსიტყვო სიტყვები", რომელიც წარმოადგენს ბატონ ედუარდ შევარდნაძის პიროვნების განდიდება-გაღმერთების უმაგალითო ნიმუშს, რომლის მსგავსსაც თავის დროზე ლენინ-სტალინისადმი მიძღვნილ ოდებშიც კი ვერ მოიძიებთ

აი, ეს „მარგალიტებიც":

– „ღმერთმა გურიაში დაბადებულ კაცს (ე.ი. ედუარდ შევარდნაძეს – ვ.თ) დააკისრა XX საუკუნის ისტორიაში გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენებში მიეღო მონაწილეობა";

– „მან იხსნა თანამედროვე მსოფლიო მოსალოდნელ გლობალურ და გამანადგურებელი ომისაგან";

– „შევარდნაძე სტალინის მაგიერ გამოუგზავნა ღმერთმა საქართველოს, რათა იმის დაშლაში მიეღო უმთავრესი მონაწილეობა, რაც წინაპარმა (ე.ი. სტალინმა – ვ.თ) შექმნა";

– „შევარდნაძის მეშვეობით მამაზეციერმა ქართველებს მსოფლიოს წინაშე ნამუსი მოგვწმინდა";

– „ეს იყო განგების მიერ მოცემული დავალება და მაინც და მაინც ქართველი უნდა ყოფილიყო დიდი ამბების მეწინავე და ეს ქართველი იყო შევარდნაძე";

– „XX საუკუნის ორი უდიდესი პოლიტიკოსი, ორი ქართველი აღმოჩნდა. ერთი დამპყრობელი, მეორე გამანთავისუფლებელი".

რა შეიძლება ითქვას ამ და სხვა მსგავს პარალელებზე?

ვიმეორებ ზემოთნათქვამს, რომ ეს შედარება-შეპირისპირება გათვალისწინებულია სტალინის პიროვნების დასაკნინებლად და მის ხარჯზე ედუარდ შევარდნაძის ისტორიული როლის განსადიდებლად, რაც ჯერ ეს ერთი, არ გვეკადრება ქართველებს და გარდა ამისა, ვერც პირველს დააკლებს რამეს და არც მეორეს მოუტანს (დამატებით) პოლიტიკურ დივიდენდებს.

ამიტომ, მოდით, მოვეშვათ ამ უხერხულ პარალელებს, რამეთუ ორივენი, თუ მოვიშველიებთ ერთი ცნობილი ქართველი მწერლის კარგად ცნობილ სიტყვებს, ჩვენი ბედკრული სამშობლოს შვილები არიან და საბოლოო პასუხს კი კითხვაზე „ვინ ვინ არის" სინამდვილეში, ალბათ, გასცემს დრო და პირუთვნელი ისტორია.

**ვახტანგ თულაშვილი,**
გადამდგარი პოლკოვნიკი

# სამეგრელოს კალენდარი – „მეგრული სეპარატიზმი?!"

გაზეთ „შანსის" 1-2 აგვისტოს ნომერში გავეცანი ცნობილი მეცნიერის, პროფესორ გრიგოლ ჟვანიას და ისტორიკოს იგორ კვესელავას ღია წერილს ბატონების რევაზ ბარამიძის, ფრიდონ დოჩიასა და სერგო ვარდოსანიძისადმი. ჩემი აზრით, ღია წერილში სწორად და სამართლიანადაა დაყენებული თანამედროვე საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი – კუთხურობის დაძლევის, ქართველთა შერიგებისა და ერთიანობის საკითხი.

მართლაც არასწორი და უსამართლობა იქნებოდა კალენდრის „ჩემი სამეგრელოს" გამოქვეყნებით ნემსი ჰპილოდ მოგვეჩვენებოდა, „მეგრული სეპარატიზმი" დაგვენახა და „შემაზრზენ ფაქტად" მოგვეჩნია. საქართველოს თითოეული კუთხე თავისებურია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ორიგინალობით გამოირჩევა და თითოეული ადგილობრივი ტოპონიმიკის, სოფლის (ნასოფლარის) ისტორიული სახელწოდების მეცნიერული შესწავლა-დადგენა, რუკაზე გადატანა პრაქტიკული მნიშვნელობის სასარგებლო საქმედ გვესახება.

ზერელე, უსაფუძვლოდ წამოსროლილი ბოროტი სიტყვა, ბუნებრივია, აღიზიანებს სამეგრელოს – საქართველოს ამ დიდებული კუთხის ყველა ქართველს. მართლაც, განა შეიძლება ძირძველმა კოლხებმა დაივიწყონ 50-იანი წლების უსაფუძვლო რეპრესიები, შეთითხნილი ე.წ. „მეგრელთა საქმე"; 90-იანი წლების დასაწყისში კი სამეგრელოს მიმართ ჩადენილის სისხლიანი დანაშაული, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბანდიტთა და ყაჩაღთა მიერ ორგანიზებულმა შეიარაღებულმა ნაძირალათა ჯგუფებმა გადაბუგეს, გაძარცვეს და გაანადგურეს საქართველოს მარგალიტის – სამეგრელოს ასეულობით ოჯახი, დაასახიჩრეს, მოკლეს კოლხი ვაჟკაცები – ცოტნე დადიანის შვილები და შვილთაშვილები, მათ თვალწინ გააუპატიურეს დედები, დები, ქალიშვილები.

სამეგრელოს კალენდრის „კრიტიკოსთა" საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, რომ თუ ეს საინტერესო გამოცემა „მეგრული სეპარატიზმია", მაშინ რა უნდა დავარქვათ იმ უტყუარ ფაქტებს, როცა სახელმწიფო დონეზე სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მმართველის სტრუქტურებში, ვალეს საბაჟოში ძალზედ ცოტაა დასაქმებული ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა და თანამდებობათა უმრავლესობა კომუნისტური ნომენკლატურის მსგავსად გურული წარმოშობის თბილისელებს უკავიათ?

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება კვლავაც უკიდურესად მძიმეა. მოსახლეობის 80-90 პროცენტს მატერიალურად უჭირს, აფხაზეთიდან გამოყრილია 300 ათასი ქართველი. ხელმძღვანელ სახელმწიფო სტრუქტურებში თბილად მოკალათებული კორუმპირებული პირები, ე.წ. „პატიოსანი ბიზნესმენები" კი კვლავაც აგრძელებენ საქართველოს უსინდისო ძარცვას. ქართველი ხალხის ამ ულირსმა შვილებმა საქართველოდან ყველაფერი გაზიდეს, გასატანი ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა და ამჟამად საქართველოს უნიკალური ტყეების გაჩეხვას შეუდგნენ, ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების ნებართვით დამზადებული ხე-ტყე საზღვარგარეთ გააქვთ.

ამჟამად უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან საქართველოს გამოიყვანს, ძირძველ ქართულ მიწას – აფხაზეთს დაგვიბრუნებს მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთისადმი ნდობა და სიყვარული, ერთიანობა, ეროვნული შერიგება, ნაყოფიერი და პატიოსანი შრომა. ურთიერთშორის „მტრის" ძებნა, კუთხურობა დამღუპველია ჩვენთვის. ყველა ქართველმა კარგად უნდა გაითვითცნობიეროს ის რეალობა, რომ ჩვენი შინაური თუ გარეშე მტრიზატულინის, ჟირინოვსკის, კიკირიანის, მიგრანიანის და სხვა მათი მსგავსი ქართველთა დაუძინებელი მტრები, შოვინისტები თავიანთ შავბნელ, იმპერიული ამბიციების განხორციელებას ჩვენს გათიშვასა და დანაწევრებაში ხედავენ.

და ბოლოს დავძენთ, რომ ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ყველაზე დიდი ქართველის ილია ჭავჭავაძის ცნობილი დამაფიქრებელი სიტყვები: „ეჰ, რაღა გითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ „ქართველი" ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი-იმერელია, გურული-გურულია, მეგრელი-მეგრელია, ქართველი ქართველია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში-ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია და „ჩვენ" – იშვიათი!".

ასე იყო მაშინ. სამწუხაროდ, დღესაც არა გვაქვს სახარბიელო სურათი ამ მხრივ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ქართველი ერი იყოს ერთიანი და განუყოფელი.

**შოთა თეთვაძე**

ქრონიკა

## ბერებმა მონასტერი დატოვეს

21 აგვისტოს ბეთანიის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი) მრევლთან და სამღვდელოებასთან ერთად ბეთანიის მონასტერში ჩავიდა.

ამ ამბის მხილველი, წმ.ნიკოლოზის ეკლესიის დიაკონი, ზაზა თევზაძე მოგვითხრობს:

„13 საათისათვის ბეთანიის მონასტერში მივედით. მონასტრის ძმობა დაგვხვდა კარიბჭესთან ღვთისმშობლის ხატით. ისინი ცდილობდნენ თავიანთი პოზიციის გამოთქმას. მაშინვე, გართულებების გარეშე, შევედით ტაძარში, სადაც შესრულდა ღვთისმშობლისადმი სავედრებელი პარაკლისი ჩვენი ეკლესიისა და ერის ერთობისათვის.

ამის შემდეგ მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოაკიმეს თანხმობით ვცადეთ გავსაუბრებოდით მონასტრის ძმობას. ბერები ჩაიკეტნენ კელიებში და ურთიერთობაზე უარს აცხადებდნენ. წინამძღვარმა სცადა კონტაქტის დამყარება, მაგრამ უშედეგოდ.

არქიმანდრიტი იოაკიმე ასევე ცდილობდა მათთან საყოფაცხოვრებო საკითხების გარკვევას, კერძოდ, სამონასტრო კელიების განაწილებას, რის გარეშეც მონასტერში ერთობლივი ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. წინამძღვარი მათგან არც მონასტრის დატოვებას და არც მორჩილებაში ყოფნას არ ითხოვდა. მიუხედავად ამისა, მტკიცე უარი მიიღო.

ბეთანიის ძმობამ თავის მხრივ შესთავაზა არქიმანდრიტ იოაკიმეს და მის მრევლს, რანჩოში დაბინავებულიყვნენ, რაზეც არც მამა იოაკიმე დათანხმდა, რადგან იგი მონასტრის კანონიერი წინამძღვარია და მონასტერშივე უნდა დარჩენილიყო.

თანაცხოვრების ნებისმიერი ფორმა მიუღებლად მიიჩნიეს რა განდგომილებმა, გვიან საღამოს მონასტერი დატოვეს". (გეა)

## რუსი სამხედროების განთავისუფლება გადაიდო

ქართველი პარტიზანების მიერ მძევლად აყვანილი რუსეთის სამშვიდობო ძალების სამი სამხედრო მოსამსახურის განთავისუფლება გადაიდო, – აცნობა პრაიმ-ნიუსს ზუგდიდიდან სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა.

მისი თქმით, აფხაზებმა წამოაყენეს ულტიმატუმი – გადასცენ მათ ვინმე მარკოსიანი, რომელიც, თითქოს, ორი თვის წინ გაიტაცეს ქართველმა პარტიზანებმა. მხოლოდ მარკოსიანის დაბრუნების შემთხვევაში პირდებიან აფხაზები 14 ივლისს აფხაზური პოლიციის მიერ გალის რაიონში დახვრეტილი ბოჯგუას და გაგუას გვამების გადმოცემას.

„ქართველი პარტიზანები მზად არიან დღესვე გაანთავისუფლონ 18 აგვისტოს მძევლად აყვანილი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და შემდეგ მიიღონ დაღუპულთა გვამები", – ამბობს იოსელიანი.

პარტიზანები ამ წინადადებას იოსელიანთან შუამავლების მეშვეობით გამართული მოლაპარაკებების შემდეგ დათანხმდნენ. „აფხაზური მხარის ახალმა მოთხოვნამ გაურკვეველი დროით გაწელა გათვლის პროცესი, მაგრამ მოლაპარაკებები გრძელდება", – აცნობა პრაიმ-ნიუსს იოსელიანმა.

მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მძევლებს არაფერი ემუქრება და ისინი ნორმალურად გრძნობენ თავს. (პრაიმ-ნიუსი)

## პროტესტი მმართველი პარტიის მიმართ

ბეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ გუშინწინ ტყიბულში განსახლებულმა დევნილმა მოსახლეობამ უარი განაცხადა „მოქალაქეთა კავშირის" თბილისიდან ჩამოსულ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე და საკმაოდ უხეში ფორმებით გამოხატა პროტესტი მმართველი პარტიის მიმართ. (გეა)

## ...თუ არადა, გადავდგებით

„ჩვენ თუ ვიარსებებთ, ხელისუფლებას ჩვენს ხელთ ავიღებთ, თუ არადა, გადავდგებით" – განუცხადა „იფრინდა"-ს კორესპონდენტს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ნადარეიშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხი 27 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო სესიაზე გადაწყდება. თ.ნადარეიშვილმა აქვე დასძინა, რომ მისი გადადგომა არ ნიშნავს აფხაზეთის დასაბრუნებლად ბრძოლის ველიდან წასვლას.

თავმჯდომარის პროგნოზით, „ქართული და აფხაზური დელეგაციების ერთმანეთში ვოიაჟები არანაირ შედეგებს არ მოიტანს, რადგან აფხაზეთი ჩვენ გვესაუბრება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაშიც ჩვენი ხელისუფლებაც უწყობს ხელს".

ლეგიტიმური ხელისუფლების ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, თ.ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ აფხაზთა ლიდერის თბილისში ვიზიტის დროს ა/რესპუბლიკის წარმომადგენლებს ჰქონდათ ვლ.არძინბასთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ ისინი არ შეუშვეს. რაც შეეხება სამთავრობო დელეგაციის სოხუმში ამასწინანდელ ვიზიტს, მათ ასევე სურვილი ჰქონდათ, შესულიყვნენ დელეგაციის შემადგენლობაში, თუმცა, ამაზეც უარი ეთქვათ. (იფრინდა)

## მეწყერი ყაზბეგის რაიონში

გუშინ ყაზბეგის რაიონის სოფლებში – ახალციხესა და კარკუჩში ჩამოწვა მეწყერი, რის შედეგადაც დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობები. ამის შესახებ „იფრინდა"-ს კორესპონდენტს შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტიდან აცნობეს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. შემთხვევის ადგილზე გასულები არიან საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური შტაბის თანამშრომლები. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამყაროს მპყრობელნი

„2010... ამ წელს, კაცობრიობა, ისეთი, როგორსაც მას ჩვენ დღეს ვიცნობთ, შეიძლება გაუჩინარდეს. წონასწორობა დაირღვევა, სასწორი მკვეთრად გადაქანდება და ჩვენ მოწმენი გავხდებით მდიდრებისა და ღარიბების პლანეტარული ორთაბრძოლისა". ამ წინასწარმეტყველების ავტორი პეტერ პეეტერსი (Peter Peeters) თანამედროვე ნოსტრადამუსი სრულიად არ გახლავთ, იგი არც ფანტასტიკური რომანების ავტორია. პეეტერსი ერთობ სერიოზული მეცნიერია, რომლის შრომები ყველასთვის ცნობილ ლონდონის მაკ მილანის გამომცემლობის პატრონაჟით ქვეყნდება. ეს არცთუ ისე სასიამოვნო პროგნოზიც მისი წიგნიდან „შეგვიძლია თუ არა თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომი 2010 წელს" (1981) არის აღებული.

ავტორის მტკიცების ორიგინალობა შემდეგშია: პეეტერს იმდენად აღმოსავლეთ–დასავლეთის კონფლიქტი არ აღელვებს, რამდენადაც ის სულ უფრო მზარდი უთანასწორობა ინდუსტრიულ ქვეყნებსა და დანარჩენ სამყაროს შორის, „სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ადამიანური არსებობის უმდაბლეს დონეზეა დასული". ამ ანალიზმა ბევრი გააოცა, რამეთუ იგი ეწინააღმდეგებოდა „სტრატეგიის ექსპერტების" იმდროინდელ სცენარებს. სპეციალისტები ვარაუდობდნენ ატომური მუქარის მეტ გავრცობას, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების მზარდ კონფლიქტს, რომელიც უცილებლივ მესამე მსოფლიო ომში უნდა გადაზრდილიყო ან კიდევ ამერიკა–საბჭოთა კავშირის დაპირისპირების კოსმიურ სივრცეში გადატანას, სადაც კაცობრიობის ბედს ლაზერები, ატომური სხივები და კიდევ ვინ იცის რა სახის, ჩვენთვის უცნობი, ადამიანის გენიით შექმნილი რა ჯურის იარაღები გადაწყვეტდნენ.

პეეტერსისთვის ამერიკისა და საბჭოთა კავშირის შუღლი და მეტოქეობა სრულიად არ იყო მომასწავებელი იმისა, რომ ორ ზესახელმწიფოს ომი სურდა. სხვა თუ არაფერი, ორთავე ქვეყანას ბევრი ჰქონდა დასაკარგი. ავტორის აზრით, სულ მალე ჩინეთიც ამ დღეში აღმოჩნდებოდა: „ქვეყანა გამდიდრდება და მსოფლიო ომის კიდევ ერთი რეალური კანდიდატი დაშოშმინდება". სამაგიეროდ, მუქარას ინდოეთის მხრიდან უნდა ველოდოთ: „ქვეყნის დემოგრაფიული ზრდა არ ნელდება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მეტად და მეტად ღარიბდება ამან კი, შეიძლება, ინდოეთის აგრესიულობას ცეცხლი შეუნთოს და სწორედ იგი აქციოს მსოფლიო ხანძრის გამჩაღებლად".

## ჩინეთი და ინდოეთი

2000 წლის მისადგომებთან გეოპოლიტიკის ექსპერტები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ინდოეთის მიმართ. სწორედ იგი შეიძლება გახდეს XXI საუკუნეში „ატომური რისკის" ზონად. პროგნოზისტები განსაკუთრებით გამოყოფენ ინდოეთის ეკონომიკური აღზევების ე.წ. „დიდი გამოღვიძების" შესაძლებლობას. 2025 წელს ინდოეთი მეოთხე ზესახელმწიფოდ შეიძლება იქცეს. ქვეყანამ, რომელიც მილიარდ მაცხოვრებელს ითვლის, უკვე მოახერხა ინფლაციის მოთოკვა, აქტიურად ჩაება მსოფლიო ქვეყნებთან აღებ–მიცემობის პროცესში და წელიწადში 6%–იან ეკონომიკურ ზრდასაც მიაღწია. ინდოეთში სულ უფრო მეტი კაპიტალი შემოდის.

ის, ვინც იაპონიის მომავალ პერსპექტივებზე საუბრობდა, დღეს იძულებულია გადახედოს საკუთარ შეხედულებებს. იაპონიამ მთელი ძალები დასავლეთის „ეკონომიკური ექსპანსიისკენ" მიმართა და მხედველობიდან გამორჩა, რომ სულ მალე ჩინეთსა და „სამ დრაკონთან" (კორეა, ტაივანი, სინგაპური) ექნება საქმე გასარჩევი. ამრიგად, 10, ან დიდი–დიდი 20 წელიწადში, იაპონიის რეგიონალურ ყოვლადძლიერებას გარდუვალი საფრთხე დაემუქრება. ყოველივე ეს ორი აზიური გიგანტის დაპირისპირებას გამოიწვევს: წყნარი ოკეანის მხარე – ჩინეთი (ჰონკონგის ჩათვლით) და „დრაკონები"; სამხრეთით, ინდოეთი, რომელიც საკუთარ გავლენას გაავრცობს ბირმაზე, მალაიზიაზე და, შეიძლება, ინდონეზიაზეც, რომელიც დღეს მსოფლიოს ექსპერტებს „ახალ ეკონომიკურ სასწაულად" მიაჩნიათ.

2010 წელს, ისევ და ისევ დაინტერესებული მკვლევარების აზრით, ჩინეთი გადაასწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეროვნული შემოსავლის სფეროში. ქვეყნის შემოსავალი 8–9%–ით გაიზრდება ყოველწლიურად და ტაივანსა და კორეას გაუტოლდება. და ყოველივე ეს, კაფკასეული კომუნისტური ადმინისტრაციის, განათლების დაბალი დონისა და რეგიონალური კონფლიქტების მუდმივი მუქარის მიუხედავად უეჭველია, ამერიკის შეერთებული შტატები, ერთადერთი ზესახელმწიფო, საბჭოთა კავშირის მსოფლიო რუქიდან გაუჩინარების შემდეგ, იძულებული იქნება დათმოს საკუთარი პოზიციები. XXI საუკუნეში იგი ველარ იქნება მსოფლიოს ეკონომიკური ბატონ–პატრონი. მაგრამ, რომელი ფუტუროლოგი გაბედავს და იწინასწარმეტყველებს, თუ რომელი ერი ჩაუდგება სათავეში კაცობრიობას XXI საუკუნეში? ძალუძს კი ნებისმიერ ქვეყანას, უმოკლეს ვადაში მოიხვეჭოს სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე და უკიდურესად განავრცოს საკუთარი გონებრივი პოტენციალი, რათა მსოფლიოს ბედის გამგებლის მისია იკისროს?

მოამზადა
**გ. ეკიზაშვილმა**

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ

## ბინები

იყიდება ვაკეში საკუთარი სახლის ნახევარი, რომლის საერთო ფართია 300 კვმ, ხეხილიანი ეზოთი 150 კვმ, I სართულზე. ერთი ოთახი 50 კვმ 4 ადგილიანი ავტოფარეხით. ტელ. 22–47–98

იყიდება 1 ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 8000$ ტელ. 98–58–72

იყიდება რუსთაველის გამზირზე 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა, კეთილმოწყობილი, მაღალი ჭერით. მუხის პარკეტით. საერთო ფართი 101 კვმ, ფასი 60000$ ტელ. 98–66–49

იყიდება ერთოთახიანი სარემონტო ბინა დახურული შუშაბანდით საერთო ფართი 22 კვმ, ტელეფონით, სარდაფით იტალიური ეზოს მე–3 სართულზე. მარჯანიშვილის ქ. №16–ში ფასი 5000$ ტელ. 23–09–91

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, 8 სართულიანის მე–7 სართულზე. საერთო ფართი 110 კვმ, შეიძლება 4–იანად გადაკეთება. ფასი 35000$ ტელ. 38–23–69

იყიდება 3 ოთახიანი ბინა მუხიანში. მე–3 მ/რ–ნი, ფასი 9000$ ტელ. 38–43–42

იყიდება სანზონაში სასწრაფოდ 1 ოთახიანი ბინა სარდაფით და ბაღით. საწყისი ფასი 5500$ ტელ. 60–72–91

იყიდება სასწრაფოდ 2 ოთახნახევრიანი სუფთა ბინა, ლოჯით, რკინის კარით, სარდაფით, დიდი სამზარეულოთი, ტელეფონით. მეტრო „ღრმაღელესთან". ფასი შეთანხმებით ტელ. 60–72–91

იყიდება 3 ოთახიანი კაპიტალურად გარემონტებული ბინა ტელეფონით და კაპიტ. ავტოსადგომით. ფასი 23000$ ტელ. 38–43–42

იყიდება ოთხნახევრიანი ბინა საბურთალოზე. ვაზისუბნის ქ. №12 9 სართულიანის III სართულზე. საერთო ფართი 70 კვმ, რკინის კარით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით ტელ. 37–98–57

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაკე–საბურთალოს გადასასვლელთან თამარაშვილის ქ. №19, პირველი სადარბაზო. მე–V სართული, ბინა 11. სოლომონიშვილი მარიამი

იყიდება სამოთახიანი სუფთა ბინა ვაჟა–ფშაველაზე. სამედიცინო ინსტიტუტთან ახლოს. 8 სართულიანის მე–7 სართულზე, რკინის კარებით ტელ. 38–61–76

იყიდება 2 სართულიანი კერძო სახლი პაელოვზე ავტოფარეხით, ეზოთი. ფასი 70000$ ან I სართული 6 ოთახით, თავისი სათავსოებით ფასი 35000$ ტელ. 37–48–86

## გირავდება

გირავდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა საბურთალოზე. ფასი 3000$ ტელ. 37–48–86

## სხვადასხვა

იყიდება გერმანული აკორდეონი კარგ მდგომარეობაში. ფასი 120 ლარი. ტელ. 98–38–98

იყიდება დიპლომატი ჩანთა საიდუმლო კოდით, გერმანული, ახალი. ფასი 80 ლარი. ტელ. 98–38–98

იყიდება ბრინჯაოს ჭაღი 10 სანთლიანი. ჩეხური ბროლით. ფასი 800 ლარი. ტელ. 32–10–55

იყიდება ფართი 100 კვმ გამოდგება ოფისისათვის, მაღაზიისათვის. მის. რუსთაველის 34, არკაში. ტელ. 22–23–32 მანანა

იყიდება 3 ფაზიანი 25 კვტ დიზელ–გენერატორი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99–83–32

იყიდება ბიბლიოგრაფიული იშვიათობის წიგნები: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში" – ავტორი თამარ პაპავა, „შნუცუბიძე 33 სურათით" – ავტორი ქეთევან ნუცუბიძე. ფასი თითოს 10 ლარი. ტელ. 60–84–09

იყიდება ბენზინგასამართი სადგური. ფასი შეთანხმებით. ტელ. 33–26–09

იყიდება საძინებელი გარნიტური–710. ფასი შეთანხმებით. ტელ. 33–26–09

იყიდება მაღაზია 25 კვმ ფართით, პრივატიზებული, მუდმივი წყლით და დენით. მაღაზიას მოჰყვება დახლმაციევარი, ტელევიზორი და ა.შ. მყიდველს გაუფორმებ გარე ვაჭრობის ნებართვას.

ფასი 6000$ ტელ. 74–35–31 ან 72–41–44 მეტრეველი გელა

იყიდება საძინებელი „სონია", ფასი 250 ლარი. ჟურნალების მაგიდა, ახალი, ფასი 70 ლარი. კაკლის ხის ბუფეტი, ფასი 700 ლარი. ტექნიკური ენციკლოპედია 24 ტომი, რუსულ ენაზე, ფასი 100 ლარი. ტელ. 22–23–32 მანანა

## ქირავდება

ქირავდება ოთხნახევრიანი ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან", რეპეტიტორზე დღის განმავლობაში. ტელ. 38–70–51; 38–26–88

ქირავდება ან იყიდება ავტომანქანა ფურგუნი „მოსკვიჩი". ტელ. 23–18–20

ვაქირავებ ოროთახიან ლოჯიან სუფთა ბინას, ტელეფონით, ავეჯით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. მაღალ ბელეტაჟზე. ფასი 200 დოლარი. ტელ. 37–23–78

## მოვამზადებ

ვამზადებ ინგლისურ ენაში. 10 მეცადინეობა 15 ლარი. ტელ. 95–45–63 (4–დან 8 საათამდე).

მოვამზადებ ბავშვებს ფიზიკაში ან მათემატიკაში. თვეში 20 ლარი. ტელ. 98–60–69

ვამზადებ საქართველოს ისტორიაში სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს. ბინაზე მისვლით. ფასი თვეში 30 ლარი. ტელ. 23–52–72 ან 95–82–87 ლევანი

## იყიდება წიგნები რუსულ ენაზე

„Межпарламентский союз"
„Парламент"
И.Д.Левин
„Суверенитет"
„Основы теории государства и права"
М.В.Колганов
„Собственность"
(до капиталистической формации)
И.С.Кон
„Позитивизм в социологии"
А.А.Герцензон
„Уголовное право и социология"
(Проблемы социологии уголовного дела и уголовной политики).
Д.С.Карев
„Судостройство"
под редакцией Проф.Пионтковского
„Современное зарубежное уголовное право" том I
(Аргентина, Дания, Япония, Югославия)
Проф.Б.С.Утевский
„История уголовного права буржуазных государств"
„Международное право"
Э.М.Аметистов
„Международное право и труд"
Проф.Л.А.Лунц
„Международное частное право"

დაგვირეკეთ 35–11–62 იკითხეთ ნინო

## თემურ გელენიძის ხსოვნას

ჩვენო თემო! ჩვენო პატარა ძმაო... 25 აგვისტოს 2 წელი შესრულდება იმ აუღმოსაგონარი დღიდან, როდესაც შენ ასე მოულოდნელად დაგვტოვე და მარადისობას შეუერთდი. წახვედი და ნუგეშად შენი ცივი საფლავის ქვა დაგვიტოვე.

თემო, ძალიან, ძალიან ენატრები შენს გამწარებულ ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

ბავშვი წახვედი ამ ცხოვრებიდან, ლაღი, მხიარული და მუდამ ასეთი დარჩები ჩვენს მეხსიერებაში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული.

თამარ და გუგა ეგანოიძეები

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
**დაგვირეკეთ: 93–18–41**

# ლატარია ყველასათვის

22 აგვისტოს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 456620; | 80 ლარი – *76678; |
| 1000 ლარი – 182051; | 80 ლარი – *26874; |
| 900 ლარი – 126582; | 70 ლარი – *18012; |
| 800 ლარი – 539518; | 70 ლარი – *55692; |
| 700 ლარი – 315973; | 60 ლარი – *46884; |
| 600 ლარი – 271291; | 60 ლარი – *42729; |
| 500 ლარი – 412549; | 50 ლარი – *00527; |
| 500 ლარი – 489277; | 50 ლარი – *51501; |
| 400 ლარი – 134493; | 40 ლარი – *88307; |
| 400 ლარი – 580406; | 40 ლარი – *91090; |
| 300 ლარი – 248947; | 30 ლარი – *91626; |
| 300 ლარი – 408947; | 30 ლარი – *15692; |
| 200 ლარი – 173125; | 25 ლარი – **6452; |
| 200 ლარი – 153836; | 20 ლარი – **9020; |
| 100 ლარი – 131785; | 10 ლარი – ***888; |
| 100 ლარი – 202147; | 10 ლარი – ***747; |
| 100 ლარი – 517927; | 10 ლარი – ***884; |
| 100 ლარი – 539965; | 1 ლარი – ***620; |
| 100 ლარი – 335038; | 1 ლარი – ***051; |
| 90 ლარი – *14365; | 1 ლარი – ***582; |
| 90 ლარი – *19692; | 1 ბილეთი – *****5. |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის XXXIII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6707; 4905:** გათამაშებაზე შეუძლიათ 29 აგვისტოს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

# როდის ექნება საქართველოს ოქროს რეზერვი?

უახლოეს მომავალში, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში საქართველოს პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრის სპეციალური თანხმობის შემდეგ, აუქციონის წესით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟის ფასითა და მაქსიმალური მოგებით გაიყიდება საქართველოს კუთვნილი 9999 სინჯის 40 კგ ოქრო. ეს ინფორმაცია „იფრინდა“-სათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი. იმავე წყაროს ცნობით, ოქროს ეს რაოდენობა ბოლო წლებში მოსახლეობისაგან ოქროს ნივთებისა და წარმოებებიდან ძვირფასი ლითონის შემცველი ჯართის შესყიდვისა და გადამუშავების შედეგად არის მიღებული. თავდაპირველად მისი სინჯი 583-ს შეადგენდა. მ.წ. მაისის თვეში კი, ოქრო აფინირებისა და სავალუტო ღამღის დასასმელად „თბილინტერბანკი“-ს პასუხისმგებლობითა და ხარჯებით გაიტანა ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდმა. როგორც ფონდის თავმჯდომარემ ვიტალი ჯაშმა განმარტა, აღნიშნული ოქროს რეალიზაციიდან ფონდი მიიღებს თანხის 3%-ს, ხოლო დანარჩენი თანხა შევა სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცაღა, ვ.ჯაშის აზრით, „უმჯობესია ოქრო საქართველოს ეროვნულ ბანკში ინახებოდეს ქვეყნის რეზერვის სახით და არ მოხდეს მისი აუქციონზე გაყიდვა“. როგორც მან განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური წერილითაც კი მიმართა ეროვნულ ბანკს, რაზედაც პასუხი ჯერ არ მიუღია.

იმავე სარწმუნო წყაროდან „იფრინდა“-სათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში დიდი ენთუზიაზმით არ ხვდება ქვეყნის რეზერვის შევსებას საერთოდ და მათ შორის აღნიშნულ შემთხვევაშიც, რომლის არგუმენტადაც საქართველოს ჯერ კიდევ სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა მოჰყავს. (იფრინდა)

# „ჩვენ, დევნილები, ხელისუფლების მიერ განწირულები ვართ“

„ჩვენთვის გაუგებარია ის აჟიოტაჟი, რაც არძინბას თბილისში ვიზიტს მოჰყვა. ეს არის იმ პოლიტიკური კურსის ლოგიკური გაგრძელება, რომელსაც ატარებდა და ატარებს საქართველოს ხელისუფლება“ – განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“-ს თავმჯდომარემ მურმან ბერიამ.

მოძრაობის წევრები არძინბასთან და მის სეპარატისტულ რეჟიმთან მოლაპარაკებების წინააღმდეგნი არიან. მ.ბერიას თქმით, მოლაპარაკებების პროცესი უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც არძინბა და მისი ჯგუფი ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს მოინანიებდნენ. „ისინი გამარჯვებულის პოზიციიდან გველაპარაკებიან, არანაირ დათმობაზე არ მოდიან. მაღალ დონეზე დიალოგის გამართვა არძინბას ჯგუფის რეანიმაციაა“ – განაცხადა მ.ბერიამ. „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე აფხაზებთან დიალოგის მომხრეა.

მ.ბერიას აზრით, მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებამ პროდასავლური კურსი აირჩია, ამ დროს ხდება მოვლენების 180 გრადუსით შემობრუნება და ისევ აგრესორი – რუსეთი ჩნდება შემრიგებლის როლში.

მოძრაობის თავმჯდომარემ უკმაყოფილება გამოთქვა შევარდნაძე-არძინბას მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით. „ჩვენ სისხლისღვრის განახლების წინააღმდეგნი ვართ. მაგრამ თუ მშვიდობიანი გზით არ შეგვიძლია პრობლემის გადაწყვეტა, რატომ გვართმევს უფლებას ეს განცხადება, შევასრულოთ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები. ჩვენ, დევნილები, ხელისუფლების მიერ განწირულები ვართ“ – აღნიშნა მ.ბერიამ.

მ.ბერია მოუწოდებს აფხაზეთიდან დევნილებს, ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, მონაწილეობა მიიღონ ამ დღისადმი მიძღვნილ მიტინგებში. მისი სურვილია, აღნიშნული მოლაპარაკებების შემდეგ ეს დღე სოხუმშიც აღინიშნოს, როგორც ქართველთა და აფხაზთა საერთო გლოვისა და შერიგების და არა როგორც აფხაზთა გამარჯვების დღე. (იფრინდა)

# ცინიზმი, რომელსაც ბოლო არ უჩანს

წყალდიდობამ გორში წმინდა წყლის ბარაკების დასახლება ისე დააზიანა, რომ იქ აღარ იცხოვრება. ჩვეულებრივ, სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობაზე მთავრობა უნდა ზრუნავდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე აღმოჩნდა. რომ თურმე, ხელისუფლებამ არათუ არ უნდა გაიღოს მცირეოდენი თანხა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, არამედ კანონიერადაც არ უნდა ცნოს უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების მოთხოვნა, და ეს ყველაფერი რის გამო? – იმის გამო, რომ აღნიშნულ ადგილას მოსახლე ხალხი თურმე „უკანონოდ“ ცხოვრობდა, – ჩაწერილები არ ყოფილან. ამიტომ მთავრობა ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის მათთვის მცირეოდენი დახმარების გაწევაზეც კი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ამ ადგილისა, რომელსაც თავისი ლაბირინთებით სახელგანთქმულ კნოსის სასახლესაც კი გააკვირვებს, ზოგი 20, ზოგი 15, 10 და ასე შემდეგ წლების მანძილზე აღნიშნულ ტერიტორიაზე მკვიდრობს.

შუა საუკუნეებსა და ბატონყმობის ეპოქაშიც კი ჰქონდა გლეხს უფლება ეცხოვრა იქ, სადაც სურდა. დაწესებული იყო ვადა, რა პერიოდშიც შეეძლო მებატონეს მისით უკმაყოფილო და გაქცეული გლეხის მოძებნა და უკან დაბრუნება. თუ ამ დროის მანძილზე სასურველ ადგილას დასახლებული გლეხი თავისი პირველი ბატონისაგან ინკოგნიტოდ მოახერხებდა ცხოვრებას, ბატონს მისი დაბრუნების უფლება ერთმეოდა. დღეს კი? – ბარაკების მოსახლეობა დახმარებას კი არა, იმას იხვეწება, იქნებ ის ადგილები დაგვიკანონოთ, სადაც წლების განმავლობაში ვცხოვრობთო. სახლების უმეტესობა საცხოვრებლად უვარგისია და ვერც გარემონტებას ბედავენ იმის შიშით, რომ დახმარების ნაცვლად მთავრობა ემუქრება: სახლებს დაგინგრევთ, რადგან იგი უკანონოაო. დაზარალებული მოსახლეობის თხოვნა სახლების დაკანონების შესახებ კი კარგა ხანია გორის მერიაშია და მას არც იხილავენ, არც პასუხობენ ისევე, როგორც ის ფარისევლები, რომლებიც გაჭირვებულ ადამიანს ხელს არ უწვდიდნენ, აქაოდა, შაბათიაო... მოსახლეობამ კი არ იცის, სად იცხოვროს... რას ნიშნავს ეს, ათიათასობით ლტოლვილს ლტოლვილებს უმატებენ თუ?

ნ.დ.

P.S. პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გორის საკოორდინაციო საბჭოს რამდენჯერმე მიმართეს დაზიანებული სახლების მცხოვრებლებმა. ოცდაცამეტი ოჯახი, ასოცდაათზე მეტი ადამიანი დახმარებას თხოულობს.

განცხადებებში ნათქვამია:

„მიმდინარე წლის 20 მაისის წყალდიდობამ საკმაოდ დაგვაზარალა. წყალმა უამრავი ქვეწარმავალი მოიტანა. ღამის სახლებში შემოდიან. ჩვენი დასახლება ნაგავს მიაქვს. მომრავლებულია ლეშის ბუზი, ვირთხები, სხვადასხვა მღრღნელები.

გორის მერთან ქოშლიანიძესთან შეხვედრა ვერ ხერხდება. შესასვლელშივე გვაჩერებენ, რადგან უფროსებისგან აქვთ დავალებული.

ჩვენი ბინები სასწრაფოდ შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ ვერ ვარემონტებთ, რადგან უკანონო მოსახლეობად გვთვლიან. ჩვენ არავინ არაფრით დაგვეხმარება, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ოფიციალურად დაფიქსირებულ დაზარალებულ ოჯახებს არ მოგვაკუთვნა. ამიტომ იძულებული ვართ ჩვენი ხარჯებით შევაკეთოთ.

არის ვარაუდი, რომ ეს წყალდიდობა ხელოვნურად იყო მოწყობილი ჩვენი ბინების დასანგრევად. ეს ვარაუდი იმითაც მტკიცდება, რომ არც კი გაგვაფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, თუმცა იცოდნენ, რომ ჩვენი ბინების დატბორვა გარდაუვალი იყო“.

ხელისუფლებას გაჭირვებული ხალხის არ ესმის. განა იმიტომ, რომ ცუდი სმენა აქვს, უბრალოდ, ხალხი ჯერჯერობით ხმადაბლა ლაპარაკობს.

**„საქართველოს“ შ.ქ.ბ.**

# კროსვორდი



შვეულად: 2. თურქულ-მონღოლური ტომების პირველყოფილი სამხედრო ადმინისტრაციული ორგანიზაცია; 3. სახელი „უამბობს“ ზმნის მოქმედებისა; 4. ძირგამსხვილებული მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა; 5. განმეორდა; 6. მძარცველი, ყაჩაღი; 8. ბუნებრივი უნარი შემოქმედებისა კულტურის ამა თუ იმ დარგში; 9. იგივეა, რაც სამოთხე, თვალწარმტაცი, ყველაფრით შემკობილი ადგილი; 10. თხელი, სიფრიფანა კანი რისამე; 13. შორეული წინაპრებისათვის დამახასიათებელი ნიშნის, თვისების გამოვლენა შთამომავლობაში; 15. სათამაშო, წარმოადგენს ძვლის ფირფიტების კომპლექტს, რომლებზედაც დასხმულია წერტილები; 16. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სადგომი ნაგებობა; 17. საწოლის გასაწყობი კომპლექტი; 18. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი, რომელსაც ხელის თითების ცემით უკრავენ; 19. საგანგებოდ საპასუხისმგებლო დავალება, დანიშნულება, როლი „ისტორიული“; 20. ბალჩეული მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა, ხორცი წვნიანი აქვს, მრავალთესლიანი, ტკბილი და სურნელოვანი; 22. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი; 28. ზრდადაუმთავრებელი ქათამი (კვერცხის დებამდე); 29. პატარა ძაღლი – იგივეა, რაც ფინია; 30. შორისდებული, გამოხატავს ვინმესთან შეხვედრით გამოწვეულ სიამოვნებას ან გაოცებას; 32. კეთილი საქმე; 33. სუსტი, ნელი ქარი; 35. საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე ვარდისებრთა ოჯახისა; ისხამს ტკბილ, წვნიან, კურკიან ნაყოფს; 36. ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა (იციან ქიზიყში); 38. ცხენის ჯოგი; 39. მიუთითებს მოლაპარაკესთან ახლო მყოფ საგანზე, ადგილზე.

თარაზულად: 1. მწვანე ფერის „დამუხტული“ ძვირფასი ქვა; 7. გაზაფხულის ერთი პირველი ყვავილთაგანი შროშანისებრთა ოჯახისა; 11. ცხენის ზურგის უკანა ნაწილი, კუდამდე; 12. იურისტი, რომელიც დამცველად გამოდის ან აწარმოებს ვისიმე საქმეს სასამართლოში; 13. თვალებს ფართოდ ახელს; 14. მცირე ხნით ვინმესთან მისვლა, ჩვეულებრივ ოფიციალური; 17. თევზის საჭური მოწყობილობა (კანაფის ნაქსოვი); 19. გამჭვირვალე ნივთიერება, რომელიც მიიღება კვარცის სილის გადნობის შედეგად; 21. ჭრელი ფრინველი, აქვს მარაოს მსგავსი ქოჩორი და მოხრილი ნისკარტი; 22. სახურავიანი ხის ყუთი, გარედან ჩვეულებრივ თუნუქით შემოჭედილი, იყენებენ ტანსაცმლის და მისთანების შესანახად; 23. უაზრო, გაუთავებელი ლაპარაკი; 24. პირის ღრუს ზედა თაღისებრი ნაწილი; 25. რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; 26. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი; 27. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა ტაშისკვრითა და შეძახილებით; 31. არაბთა წარმომადგენელი საქართველოში არაბობის დროს; 34. პური გაფუჭდა (...); 37. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანიმენტით ოპერაში; 40. მეფის მთავრობასთან მებრძოლი „პარტიზანი“; 41. სხვისი ბავშვის გამზრდელი ქალი; 42. ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში; 43. დიდი კრანისებრი მანქანის პირველი სიტყვა; 44. დღევანდელ ღამეს; 45. გზა, რომელსაც ავტობუსი, გემი, თვითმფრინავი... გადის საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე.

**ქეთევან ბეროშვილი**


მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ებანოიძე

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444